პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. № 4. მე 3 სართული
მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე 2 სართული ტელეფ. 5—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქციის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 625 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადებები—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი, სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

№ 274 ოთხშაბათი, 29 ნოემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 274

დღიური

კომინტერნის მეოთხე კონგრესი: მოხსენება აგრარული საკითხის შესახებ.

პროფინტერნი: ამხ. ლოზოვსკის სიტყვა, ჰეკერტის მოხსენება კაპიტალის შემოტევის შესახებ და სხვა.

სპარსეთში მოსალოდნელია კაბინეტის დაცემა რუსეთის საკითხის გამო.

ცენტრალური შემმოწმებელი კომისიას

ნაადრევათ მიაჩნია პრესაში ცნობების მოთავსება, მაზრებში და ქალაქის რაიონებში პარტიის წევრთა გაწმენდის შედეგების შესახებ, ვინაიდან სამაზრო და სარაიონო კომისიების ყველა მასალები უნდა გატარდეს ცენტრალურ შემმოწმებელ კომისიაში, რომელიც უშუალოთ გამოაქვეყნებს მას საერთო გაწმენდის დასრულების შემდეგ.

ცენტრ. შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარე—გოროზჩენკო.

საქ. კომ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტისაგან

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და სამაზრო ყრილობათა კომპანიის ჩასატარებლად საქართველოში, ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ მობილიზაციით გაწვეული არიან შემდეგი ამხანაგები:

ორჯონიკიძე ს., მახარაძე ფ., ორახელაშვილი მ., სტურუა ვანო, ელიავა შ., ტოროშელიძე მ., ლომინაძე, კახიანი, ყურულოვი, გეგეჭკორი, ჟუჟიკაშვილი, ვაშაკიძე ვალ., კოჩეტკოვი, ივანოვ-კავკაზსკი და რუბენი.

საქ. კომ. პარტ. ცენტ. კომიტეტ. მდივანი და აგიტ. პროპ. გამგე მიხ. კახიანი.

ოთხშაბათს, 29 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე,

ალმასკომის ბინაზე

შესდგება

განათლების, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საფინ. განყ. სექციების

სხდომები

ყველა ამხანაგები ჩაწერილნი აღნიშნულ სექციებში ვალდებულნი არიან გამოცხადდენ თავის დროზე.

კრ. 647—2—2 მდივანი ხუნდაძე

კონტრ-რევოლიუციონური ავანტიურიზმის კრახი

ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ის აზრი, რომ საქართველოს (ისევე როგორც ყველა სხვა ქვეყნის) მენშევიზმი, მებრძოლ საზოგადოებრივ ძალთა დღეს გარკვეულ განწყობილების პირობებში, აშკარათა და გადაჭრით გამოდის როგორც ერთი მონაწილეთაგანი კონტრ-რევოლიუციონური ბანაკის. ჩვენ ისიც აღგვინიშნავს, რომ კერძოთ საქართველოში, მას შემდეგ, რაც მათ დაჰკარგეს ბატონობა ფართო მასებზე, და მათი ძალები ნაკუწ-ნაკუწათ იქცა, აუცილებელია მათი დადგომა ავანტიურის გზაზე, როდესაც მათთვის მისაღებია ყოველნაირი საშუალება, კავშირი ყოველნაირ ძალასთან თუ გინდ სისხლის სამართლის დამნაშავეებთან, ავაზაკებისა და ნაძირალების ბრბოებთან.

როდესაც ჩვენ ვამბობდით, რომ მენშევიკები ხელიხელ ჩაკიდებული მოქმედებენ კერძოთ ჩოლოყაშვილის ბანდებთან, ეს ზოგიერთებს, ეგრედ წოდებული საზოგადოებიდან, გადამეტებულათ მიაჩნდათ. როდესაც ჩვენ ვსწერდით, რომ ჟორდანიას კომპანია ინტერვენციის მზადებაშია საზღვარგარეთ, თუმცა უშედეგოთ და უნაყოფოთ—ამასაც ზოგიერთები აცხადებდნენ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულათ. რასაკვირველია, საქართველოში დარჩენილ და მომქმედ მენშევიკებისათვის არ იყო გამოსადეგი, რომ ასეთი აზრი ყოფილიყო შემუშავებული მათ შესახებ. ამიტომ მიმდინარე წლის დასაწყისში, მენშევიკების არალეგალურ კონფერენციაზე, სილიბისტრო ჯიბლაძე აცხადებდა, რომ მენშევიკები მოქმედებენ მხოლოთ საერთაშორისო მუშათა დემოკრატიასთან ერთათ, რომ ბოლშევიკები სიყალბეს სჩადიან, როდესაც მათ აწერენ სურვილს იმპერიალისტებთან ერთათ ინტერვენციის მომზადებაში.

იმ დოკუმენტებიდან, რომლებიც ჩვენ გამოვაქვეყნეთ ამ დღეებში, ყველა ურწმუნო თომებიც დარწმუნდებიან თუ რამდენათ მართალი ვიყავით ჩვენ და რამდენათ მტყუანი განძრახ ტყუილის მოლაყბე მენშევიკები და მათი ბელადები.

საქართველოს მენშევიკები შეუკავშირდნენ არა მარტო ყველა დანარჩენ კონტრ-რევოლიუციონურ ჯგუფებს და ყაჩაღთა ბრბოებს საქართველოში, ისინი აბამენ კავშირს ასეთივე ჯგუფებთან და ბრბოებთან, რომლებიც აქა-იქ დაძრწიან, როგორც წარსულის შავი ლანდები, მეზობელ რესპუბლიკებში. ეს კიდევ ცოტაა. მათი წარმომადგენლები უცხოეთში ჟორდანიას მონაწილეობით და ხელმძღვანელობით შველას და დახმარებას ემუდარებიან საერთაშორისო რეაქციას: საფრანგეთის იმპერიალისტებს, იტალიელ ფაშისტებს, ბელგიელ ბანკირებს, ვრანგელს და სხვებს; გამოითხოვენ მათგან ფულს, იარაღს, ჯარს საქართველოში გადმოსასხმათ იმ მომენტისთვის, როდესაც შეცდომაში შეყვანილი ბნელი ჯგუფები ამიერკავკასიაში და კერძოთ საქართველოში, ყაჩაღთა ბრბოების წაქეზებით, ძალდატანებითა და მეთაურობით მოაწყობენ, მათი აზრით, აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ერთ ასეთ გამოსვლას ადგილი უნდა ჰქონოდა ამ შემოდგომაზე. ყოველივე ცდამ, როგორც ვიცით, ფუჭათ ჩაიარა. ინტერვენცია ბანკირებისათვის სახეირო ვერ გამოდგა, აქაურმა მათმა აგენტებმაც ვერაფერი გააწყვეს.

ბანდები გაფანტულია, ნაწილობრივ ამოწყვეტილი მეთაურებთან ერთად. შეცდომაში შეყვანილი შეუგნებელი ჯგუფები მშვიდობიან შრომას დაუბრუნდნენ. მაგრამ ფაქტი ფაქტათ დარჩა და ის ხმა მაღლა ღაღადებს თვით იმათთვისაც, ვინც დღემდე ძალათ დაყრუებული და დაბრმავებული იყო, რომ მენშევიკური ჯგუფები საქართველოში დასავლეთის იმპერიალისტებთან ერთად, როგორც მათი სამხედრო აგენტები, აწარმოებენ მუშაობას ქვეყნის ნაძირალებში მათ გამოსაყენებლათ, წყალის ასამღვრევათა და ამ გზით თავიანთ ძველი ბატონობის აღდგენის საცდელათ.

გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან სათანადო დასკვნა უნდა გამოიტანოს მთელმა ჩვენმა ხალხმა. მენშევიკური და სხვა კონტრ-რევოლიუციონური პარტიები უნდა აღიგავონ ჩვენი სინამდვილიდან. თუ ამდენ ხანს ხელისუფლება კიდევ იჩენდა ერთნაირ ლმობიერებას მათ მიმართ, დღეს ყველასათვის ცხადია თუ რატომ უნდა მიმართოს ხელისუფლებამ სასტიკ და კანონიერ ზომებს რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავათ და ხალხის მშვიდობიანი შრომის უზრუნველსაყოფათ. ეს არის მისი მოვალეობა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა წინაშე, ამას მოითხოვს უზენაესი ინტერესები რევოლიუციის.

გერმანიის ახალი მთავრობა და პროლეტარიატი

ძველი კოალიციონური მთავრობის პოლიტიკამ გერმანიაში, სოციალ-დემოკრატების მონაწილეობით ნიადაგი მოუმზადა კაპიტალისტური რეაქციის გაძლიერებას. მანვე ხელი შეუწყო მეურნეობის ნგრევას, ცხოვრების საშინელ გაძვირებას და მშრომელ მასების სრულ გაღატაკებას. მსხვილი კაპიტალი, რომელმაც ღონე მოიკრიფა წინანდელი მთავრობების დროს, გენერალურ შეტევაზე გადავიდა პოლიტიკურ და ეკონომიურ ფრონტების მთელ ხაზზე. მან მოიწადინა თავის პროგრამის უფრო გადაჭრით გატარება, რომელ მიზნისათვის უკვე გამოსადეგად მიიჩნია ვირტის წვრილ-ბურჟუაზიული კაბინეტი, რომელიც თუმცა ემსახურებოდა მას, მაგრამ მაინც, მისი აზრით, ვერ იჩენდა საკმაო გაბედულებას. შედეგად მივიღეთ კუნოს „საქმიანი" კაბინეტი, რომელიც მოწოდებულია სტინნესის პარტიის მიერ განახორციელოს მისი პროგრამა. მთავარი მუხლი ამ პროგრამისა არის მუშათა კლასის ხარჯზე ვერსალით გერმანიაზე დაკისრებულ კონტრიბუციის გასტუმრება და დანგრეულ კაპიტალისტურ მეურნეობის აღდგენა. ამისათვის სტინნესი სხვათაშორის მოითხოვს 8 საათის სამუშაო დღის გაუქმებას და 15 წლის განმავლობაში მუშებისათვის ორი საათის ზედმეტი უფასო სამუშაოს შემოღებას.

თუმცა კუნო აცხადებს თავის დეკლარაციაში, რომ მისი პოლიტიკა იქნება ვირტის მთავრობის პოლიტიკის გაგრძელება, მაგრამ ეს სრული უაზრობაა: მაშინ რა საჭირო იყო ვირტის შეცვლა კუნოთი.

ვირტი კი იმიტომ დაეცა, რომ ვერ დააკმაყოფილა სავსებით ვერც კაპიტალი, მით უმეტეს ვერც დაქირავებული შრომა.

ვირტის დამხობა იყო გაკოტრება ვითომდა კომპრომისულ, ოპორტუნისტულ პოლიტიკის. დღეს გერმანიაში, სადაც სოციალური ძალთა წინააღმდეგობამ თავის მწვერვალს მიაღწია, შესაძლებელია ან სტინესის მთავრობა, ან მუშათა კლასის მთავრობა.

კუნოს კაბინეტი აშკარა გადახრაა მარჯვნივ, ის მსხვილი კაპიტალის, სტინესის აღმასრულებელი ორგანოა.

მხოლოდ საკითხავია, რამდენად შესძლებს კუნო კაპიტალის დიქტატურის განხორციელებას და რამდენად ხანგრძლივი იქნება ამ კაპიტალის ბატონობა? ამ საკითხის გამორკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს ერთი მხრით სოციალ-დემოკრატიის როლს შექმნილ ვითარებაში, მეორე მხრივ—კომუნისტურ პარტიის მოქმედებას და პროლეტარიატის განწყობილებას.

სოციალ-დემოკრატია არ შევიდა ახალ მთავრობაში. უკანასკნელი ცნობებით, მის წარმომადგენელს რეიხსტაგში, მთავრობის დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ, განუცხადებია, რომ ესდეკები მთავრობას მკაცრ ოპოზიციაში ჩაუდგებიან.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სოც.-დემოკრატიის ასეთი ნაბიჯი მათი რევოლიუციონერობის შედეგი არ არის. თუ რა „რევოლიუციონერები" არიან გერმანელი მენშევიკები, ეს მათ კარგად დაამტკიცეს მთელი თავისი წარსული მოღვაწეობით, როცა ბურჟუაზიას უდგნენ მხარში და მასთან ერთად დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდნენ რევოლიუციონური პროლეტარიატის წინააღმდეგ, ან აშოშმინებდნენ მას და აჩერებდნენ გადაჭრილ მოქმედებისაგან.

ასეთმა მათმა მოღალატეობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ მუშათა კლასს გული აუცრუვდება სოციალ-დემოკრატიულ ლიდერებზე, ეკარგება მათი რწმენა, ის ცდილობს მათგან დამოუკიდებლად გადასჭრას მის წინაშე მდგარი საჭირბოროტო საკითხები.

შეუთანხმებელ მეთაურების გავლენისაგან გერმანიის პროლეტარიატის თანდათანი განთავისუფლების და ამ პროლეტარიატის რევოლიუციონური განწყობილების თვალსაჩინოდ დამამტკიცებელ მაგალითს წარმოადგენს ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების კონგრესი, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს გერმანიაში.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მოძრაობა ფრიად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს. აქ არა აქვს ადგილი ბურჟუაზიის მიერ მოსყიდულ და გარყვნილ სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკურ და პროფესიულ ბიუროკრატიას. ესაა მოძრაობა მუშათა ქვედა ფენების, დაბალ ფართე მასსების. ამ მასსების მიზანს, შეადგენს წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიის ლიდერებისა, მუშათა მძლავრი ერთიანი ფრონტის შექმნა, რომელიც უნდა დაუპირდაპირდეს კაპიტალის შემოტევას, მოიგერიოს ის და თვით გადავიდეს კონტრ იერიშზე. ამგვარად, ერთიანი ფრონტის ლოზუნგი, რომლის განხორციელებას ყოველნაირად უშლიდნენ ხელს მოღალატე სოციალისტები, ხორც ისხამს თვით მასსებში, რომელნიც დარაზმული არიან ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების გარშემო.

დღეს, როგორც ვთქვით, მიმდინარეობს ამ კომიტეტების კონგრესი. რამდენიც არ ცდილობდნენ ბურჟუაზია და რეფორმისტები ამ კონგრესის ჩაშლას, ის მაინც შესდგა. მეტად დამახასიათებელია როგორც კონგრესის შემადგენლობა, ისე იქ გამეფებული სულიერი განწყობილება. კონგრესზე გამოცხადდა 841 დელეგატი, მათგან 675 კომუნისტია. ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მოძრაობა მიმდინარეობს კომუნისტების სრული გავლენის და ხელმძღვანელობის ქვეშ.

კონგრესის პირველსავე სხდომაზე გამოაშკარავდა დელეგატების უკმაყოფილება ესდეკების ლიდერებით. მთელმა რიგმა ესდეკების დელეგატებისამ, რომელნიც აღშფოთებული იყვნენ თავიანთი ბელადების ყოფა ქცევით, განაცხადეს კომპარტიაში შესვლის სურვილი. კონგრესმა დაგმო გერმანიის პროფკავშირების გაერთიანების შეუთანხმებელი მოღვაწეობა, გაერთიანების, რომელმაც უარი განაცხადა კონგრესში მონაწილეობაზე. კონგრესი მქუხარე ტაშით შეეგება კომინტერნის მისასალმებელ დეპეშას. მანვე მიიღო კომუნისტ ბრანდლერის მიერ წარმოდგენილი პროგრამა: მუშათა კლასის დარაზმვა [illegible] საბრძოლველად, კოალიციის შექმნა მუშათა მთავრობის შესადგენად, კონტროლის დაწესება წარმოებაზე, 8 საათის სამუშაო დღის უზრუნველყოფა, შრომის ბეგარის შემოღება, მსოფლიო მუშათა კონფერენციის მოწვევა, ომის დროს დაშლილ ცხოვრების აღდგენის საკითხებს განსახილველად; კონფერენციის მოწვევა გერმანიის, რუსეთის, ავსტრიის და ოსმალეთის შემადგენლობით, თავდაცვითი კავშირის ორგანიზაციის მიზნით, ვერსალის ხელშეკრულების გაუქმება.

ასეთია გერმანიის რევოლიუციონური პროლეტარიატის მორიგი მოთხოვნები. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ გერმანიის მთელ რიგ ქალაქებში ხდება, უკიდურესი გაჭირვების და სიმშილობის ნიადაგზე, მუშების გამოსვლები. აშკარაა, რომ გერმანიის პროლეტარიატში ხდება არსებითი გარდატეხა, ის თავს ანებებს მოთმინებას და სამოქალაქო ზავის პოლიტიკას, და ადგება რევოლიუციონურ ბრძოლის გზას.

ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, სავსებით გასაგებია ის მოტივი, რომელმაც აიძულა სოციალ-დემოკრატია უარი ეთქვა მთავრობაში შესვლაზე და „ოპოზიციონერების" სამოსელში გახვეულიყო. ესაა შიში მუშათა კლასში თავის იდეურ და ორგანიზაციულ გავლენის სრული დაკარგვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სოციალ-დემოკრატია თავის ბუნებას ეხლაც ვერ უღალატებს და „ოპოზიციის" კომედიის გათამაშებას აპირებს, რათა თვალი აუხვიოს გერმანიის პროლეტარიატს. მაგრამ დგება მომენტი, როცა ყველამ უნდა გამოიჩინოს თავისი ნამდვილი სახე. და თუ გერმანელი მენშევიკები დღესაც აღმოჩნდებიან ბარიკადების იქითა მხარეზე, თვით მუშათა კლასი დაირაზმება კომუნისტების გარშემო და თავის მოღალატე სოციალისტების გარეშე ჩაებმება გადამწყვეტ ბრძოლაში თავაშვებულ კაპიტალის წინააღმდეგ. ამის მაჩვენებელია, სხვათაშორის, ფაბრიკა-ქარხნების კონგრესიც.

მუშათა კლასის აზვირთებულ ტალღის დაცხრომას ვერ შესძლებს ვერც კუნოს კაბინეტი, მის რევოლიუციონურ ენერგიას ვერ შეანელებს ვერც სოციალ-დემოკრატიის პარლამენტარული „ოპოზიცია". გერმანია დღეს უეჭველად იმყოფება გარდამავალ პერიოდში. კუნოს კაბინეტი ერთი საფეხურია ამ პერიოდის ახლო მომავალში უნდა მოველოდეთ მუშათა კლასის გენერალურ ბრძოლას ძალა-უფლების დაპყრობისათვის.

ცეკავშირის ყრილობა

26 ნოემბერს, გაიხსნა სრულიად საქართველოს მომხმარებელ კოოპერატივების რწმუნებულთა ყრილობა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყრილობა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია საქართველოს კოოპერაციის ისტორიაში. ის ისტორიულ ყრილობათ უნდა ჩაითვალოს საქართველოს კოოპერაციის გადახალისების და მისი ახალი გზებით განვითარების მხრივ. გარდა ამისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ყრილობის პერსონალური შემადგენლობიდან 99 პროც. კომუნისტები არიან. დღეის შემდეგ საქართველოს კოოპერაცია უნდა ჩაითვალოს სრულიად განთავისუფლებულად დიდ „კოოპერატორებისა" და მათი ყალბი იდეოლოგიისაგან. დიდი „კოოპერატორები", ნამდვილად კი დიდი კომბინატორები უნდა ჩაითვალონ საქართველოს კოოპერაციიდან განდევნილათ და კოოპერაცია კი განთავისუფლებულათ. ეჭვი არაა, რომ საქართველოს განთავისუფლებული წითელი კოოპერაცია დღეის შემდეგ აწარმოებს გმირულ ბრძოლას ეკონომიურ ფრონტზე, გადაიქცევა იმ ორგანიზაციად, რომელიც სოფლის ულარიბეს გლეხობას დაუკავშირებს ქალაქის პროლეტარიატს და გასწევს წინ ქვეყნის ეკონომიურად და კულტურულად აღორძინებისაკენ. ეჭვი არაა, რომ საქართველოს წითელი კოოპერაცია თავის მოქმედებას ორგანიულად დაუკავშირებს საერთო პროლეტარულ რევოლიუციონურ მოძრაობას. ბურჟუაზიის ჭირისუფლებმა, მენშევიკური პარტიის მაჭანკლებმა, რომლებმაც სასტიკი დამარცხება იგემეს ამ ყრილობაზე, სამუდამოდ დაკარგეს ნდობა მშრომელთა ფართო მასაში. დღეის იქით მათ დარჩენიათ ერთად ერთი გზა: ღვარონ ცრემლები და ამოძრავდნენ კონსტანტინოპოლისკენ გასამგზავრებლად თუ არ მოისურვებენ პროლეტარიატის და ულარიბესი გლეხობის საკეთილდღეო მუშაობას. იდეურად და პოლიტიკურად გაკოტრებულ მენშევიკ-კოოპერატორებს და მემარჯვენე სოციალ-ფედერალისტებს არ შეეძლოთ ასეთი ისტორიული დამარცხება უყურადღებოთ დაეტოვებინათ და ერთხელ კიდევ შეეცადნენ ყრილობის მუშაობაში შეეტანათ დისონანსი თავისი მილეული ძალებით და სცადეს გამოსვლა: ვინმე ადვოკატი, საბაშვილი, აალაპარაკეს მაგრამ მათი ცდა სრულიად უშედეგოთ დამთავრდა და ყრილობამ ბრძანების კილოთი გადასცა მათ განკარგულება, რათა ყოფილიყვნენ წესიერათ და თუ შემდეგ კიდევ მოაწყობენ ასეთ გამოსვლებს ყრილობა მათ განდევნით ემუქრებოდა. ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი, სამდივნო და სამანდატო კომისია, ყველა ერთის გამოკლებით, კომუნისტები. ეს იყო პოლიტიკური სიკვდილი, დიდი კოოპერატორებისა ე. ი. კომბინატორებისა.

ყრილობამ სწორი ანალიზი გაუკეთა მათ საქმიანობას და სთქვა: ჩვენ აქ მოვსულვართ და შევკრებილვართ საბჭოთა საქართველოს საქმის საკეთებლად და თუ ვინმე მოისურვებს ამ ყრილობის ბოროტი ფარული მიზნებისათვის გამოყენებას ჩვენ მათ სასტიკად დავსჯით. ასეთი იყო არსებითად ერთსულოვანი განცხადება ყრილობის და ამის ყველაზე უფრო ეშინოდათ ძველ მენშევიკ-კოოპერატორებს.

ყრილობამ გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ამხ. ლენინს, ცენტროსოიუზს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას, სახალხო კომისართა საბჭოს, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. ყრილობა მათ წინაშე ფიცს სდებს, რომ მთელი ენერგია საქართველოს წითელი კოოპერაციისა მიმართული იქნება მუშათა კლასის საკეთილდღეოდ, სოფლის მეურნეობის და ქვეყნის ეკონომიურათ აღორძინების საქმისთვის. მენშევიკებს ერთი გზა დარჩენიათ, აღიარონ ფართო მასის წინაშე თავის სრული პოლიტიკური და იდეური გაკოტრება, გაკოტრება რამიშვილ ჩხეიძის აგენტებისა მიუხედავათ თავიანთ დემონსტრაციის, მათ უკან წაიღეს განცხადება და ჩვენთან ერთად მუშაობენ დღეს ყრილობაზე. ეს იძულებითი ნაბიჯია მათის მხრივ. გაკოტრებულ კოოპერატივებს მეტი გზა არ ჰქონდათ და ჯერ-ჯერობით ისევ ჩვენთან დარჩენა ამჯობინეს. და თუ ეს ვაჟბატონები შემდეგში კიდევ შეეცდებიან ამ ეკონომიური ორგანიზაციის ძალების და საშუალებების გამოყენებას კონტრ-რევოლიუციონური მიზნებისათვის, წითელ კოოპერაციაში მათ ადგილი არ ექნებათ.

დღეიდან საქართველოს წითელი კოოპერაციის წინაშე სდგას პრაქტიკული ხასიათის ამოცანები, დაუკავშირდეს საერთო პროლეტარულ რევოლიუციონერულ მოძრაობას ორგანიულად, ბოლო მოუღოს ფართო მასისაგან დამოუკიდებელ მოქმედებას და საერთო ძალით და ენერგიით გასწიოს წინ აყვავებისაკენ.

ამ პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას ყრილობა უკვე შეუდგა.

მოსე ცანცაძე.

ადგილობრივი პრესა მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონური მუშაობის შესახებ

„ПРАВДА ГРУЗИИ"

„მენშევიკებმა ჩვენზე უკეთესათ იცოდნენ, რომ საქართველოში აჯანყების ყოველგვარი ცდა უშედეგოთ და დამარცხებით დამთავრდებოდა.

იმათ მშვენივრათ იცოდნენ, რომ მუშების და გლეხების მასები მათ არ გაჰყვებოდნენ.

ყველა თავის ანგარიშებს ისინი აშენებდნენ და აშენებენ მხოლოდ და მხოლოდ ანტანტის შეიარაღებულ ჩარევაზე, ანტანტის ინტერვენციაზე. მაგრამ ამისათვის საჭიროა შეიქნას ხალხთა მღელვარების ილიუზია, საჭიროა დაანახვონ ევროპას და ამერიკის მთავრობებს, რომ საქართველოს ყველა მცხოვრებნი იბრძვიან „ძალით თავზე მოხვეულ ოკუპანტების ხელისუფლების წინააღმდეგ", და მოუთმენლად ელიან თავის განთავისუფლების წუთებს.

მხოლოდ ასეთ პირობებში იმპერიალისტების დახმარებას შეუძლია მიიღოს ასე თუ ისე რეალური ფორმები.

ამ მიზნით მენშევიკები პროვოკაციას ეწევიან ჩვენი ქვეყნის განაპირა კუთხეების გლეხთა ჩამორჩენილ ელემენტებს შორის, არ ერიდებიან არავითარ სიცრუეს და სრულიად არ ფიქრობენ იმაზე, რა დაუჯდებათ ეს პროვოკაცია მათ მიერ შეცდომაში შეყვანილ გლეხებს.

მენშევიკებს მშვენივრად ესმოდათ და ესმით, რომ ისინი ვაჭრობენ მუშათა და გლეხთა სისხლით და სიცოცხლით, ერეკებიან რა მათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, და ვაჭრობენ მხოლოდ, იმიტომ რომ მოიგონ პარიზის და ლონდონის ბატონების გული.

და ამის შემდეგ მათ კიდევ ყოფნისთ თავხედობა აღშფოთება გამოსთქვან, როდესაც მუშათა და გლეხთა მთავრობა აგზავნის მათ იქ, სადაც თბილად მოეწყო მათი „ძველი მთავრობა".

ძალიან ლმობიერად ეპყრობოდა მათ საბჭოთა ხელისუფლება მაგრამ შეგვიძლია დავარწმუნოთ ეს ვაჟბატონები, რომ ჩვენ ხელისუფლებას ამიერიდან შეუძლია მათთან სხვა ენაზე „ლაპარაკიც".

„ЗАРЯ ВОСТОКА"

„გამოქვეყნებული მენშევიკების გეგმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შესახებ, და საგანგებო კომისიის ორგანოების საინფორმაციო მასალების საზღვარგარეთელ თეთრ-გვარდიელების მუშაობის შესახებ, ნათლად ამტკიცებენ, რომ მენშევიკები და დანარჩენი კონტრრევოლიუციონერები, რომელნიც განდევნილი არიან მშრომელთა მიერ, განაგრძობენ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ კბილების ლესვას.

ერთხელ კიდევ მტკიცდება ოდესღაც ძლიერ წვრილ ბურჟუაზიულ პარტიის დაცემა, იმ პარტიის, რომელიც დღეს არ ერიდება კონტრ-რევოლიუციონურ ბრძოლაში დაძმობილებას, არა მარტო თავადების, აზნაურების და ყოფილ მენშევიკურ საქართველოს თეთრ აფიცრების ბანდებთან, არამედ კავკასიის სხვა ხალხთა ნაძირალებთანაც. ეს კიდევ ცოტაა, ისინი მიდიან იმავე გზით, რომელთაც მიდიოდა მეორე წვრილ ბურჟუაზიული სოც.-რევოლიუციონერების პარტია და ოქროს და სხვა დახმარების მისაღებათ მიმართავენ იმავე წყაროებს, რომელიც თავის დროზე დახმარებას უწევდა ესერების წინამძღოლთა კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს...

მენშევიკები გულმოდგინეთ ეძებენ თანამებრძოლებს მთიან ყაზახის თათართა და ჩიჩნებს, ოსებს, ინგუშებს, კაბარდოელებსა და დაღესტნელებს შორის. ისინი ოცნებობენ საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციის მოწყობაზე. და მშრომელებისადმი მძულვარების შხამით გაჟღენთილი მოსაზრება უკარნახებს მათ, რომ ჩამოთვლილ ერთა შორის იყოლიონ ათი ათასეული მათი მომხრეები.

ჩვენ ვიცით, რომ კონტრ-რევოლიუციონერების სტატისტიკას მენშევიკები გულმოდგინეთ აწარმოებდნენ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ და ჩრდილო კავკასიაში თეთრ ბანდიტ—გენერლების თარეშის დროს.

ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ქართული მენშევიზმი იყო კავკასიაში კონტრ-რევოლიუციის მთავარი შტაბი ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჩრდილო კავკასიაში, ასე ვსთქვათ, გაბატონებული იყო თერგ-დაღესტნის მთავრობა ჩერმოევის, კოტსოევის და კომპ. იდეური ხელმძღვანელობით, როდესაც აზერბეიჯანში და სომხეთში გაბატონებული იყვნენ მუსავატელები და დაშნაკელები. და მიუხედავათ იმისა, რომ მენშევიკები უწევდნენ „მაღალ-იდეოლოგიურ" მფარველობას, მთიულეთის მთავრობაც, მუსავატელებიც და დაშნაკელებიც იძულებულნი იყვნენ ეძებნათ თავშესაფარი დასავლეთ ევროპაში. იგივე ბედი ეწიათ კავკასიის კონტრ-რევოლიუციის „იდეოლოგებსაც".

ის, რაც მენშევიკებმა ვერ განახორციელეს მთელ კავკასიაში შავი ძალების თარეშის დროს, ამ საბრალო ხალხს სურს განახორციელოს ეხლა, იმის შემდეგ, რაც კავკასიის ყველა ერებმა განიცადეს თეთრ ბანდიტების დაცინვა და იმის შემდეგ, რარ კავკასიის ხალხთა მშრომელი მასები საბჭოთა ხელისუფლების საკუთარ ხელისუფლებათ და თავის თავისუფალი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად სთვლიან.

საბრალო პარტია, რომელიც გასამართლებულია ისტორიის მიერ, თამაშობს საბრალო როლს, კისრულობს რა კავკასიის ხალხთა ნაძირალ ელემენტების წარმომადგენლობას ბურჟუაზიულ მთავრობების წინაშე.

ახლო მომავალში ჩვენ, ალბათ, ხელში ჩაგვივარდება უფრო მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომელიც დაადასტურებს მენშევიკების სრულ დაცემას, მაგრამ გამოქვეყნებული მასალებიც საკმარისია იმისათვის, რომ ვსთქვათ, რომ **ამიერიდან მენშევიკური პარტია გადაიქცა კავკასიის ხალხთა ბანდიტების, მკვლელების, მძარცველების და ყველა ჯურის ქვემძრომთა მთავარ შტაბათ.** და ეს როლი სავსებით შეეფერება იმ პარტიას, რომელიც მშრომელებმა ამოშალეს თავის ისტორიიდან და რომელსაც უძღვნეს შემდეგი სიტყვები: „მშრომელთა ინტერესების გამცემლები".

„ტრიბუნა"

„ამ დღეებში თბილისში მოჰკლეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის პასუხისმგებელი თანამშრომელი შალიკო ფავლენიშვილი.

ფავლენიშვილს აღმოაჩნდა მთელი სერია დოკუმენტებისა, რომელიც რამდენიმედ ფარდას ხდის ჩოლოყაშვილის მოქმედებას და რაც კიდევ უფრო საყურადღებოა იმ კავშირს, რომელიც არსებობდა და არსებობს ამ უკანასკნელსა და მენშევიკურ ფრონტის შორის.

არსებულ პირობებში ვინც სარევოლიუციო ბრძოლის ხაზს გასცილდება უეჭველად მოექცევა მეორე უკიდურესობის ბანაკში—კონტრ-რევოლიუციის რიგებში. კონსტანტინოპოლში მარშრუტი რეაქციის მარშრუტია, ამ გზით მხოლოდ რეაქციის ძალები მიიმართებიან და იგი გზა სავსებით ერთსა და იმავე გრძნობებით იღებს, როგორც დენიკინს, ისე ჟორდანიას, როგორც ვრანგელს, ისე ჯუღელს და სხვა...

ევროპიდან გამოგზავნილი ჭორები, რომ დღეს ხვალ და არა უგვიანეს სექტემბრისა და ოქტომბრისა ბათომის ნავთსადგურს ანტანტის ჯარები მოადგებიან, ხოლო ამავე დროს ჩოლოყაშვილთან ერთად გამოვლენ ოსები, ლეკები, თათრები და სხვა, ეს დიდი ისტორიული ტყუილებია, რომლითაც ყოველგვარი ბანდიტები ცდილობენ ბრმა ელემენტების თვალების ახვევას. ვაი იმ უბედურ ძალებს, რომელნიც ებმევიან ამ ტყუილების ქსელში.

ჩვენ მორიგ მოვალეობად მიგვაჩნია ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ ყველასათვის გასაგებად, რომ ჩოლოყაშვილის მთელი მუშაობის ერთად ერთი მიზანი არსებითად და ფუნდამენტალურად ქართველი ხალხის დაღუპვა და ზარალია. მისი ხანგრძლივი არსებობა არის [illegible] ჩვენი ხალხის [illegible] და [illegible] დაზარალებს".

რადიო-დეპეშები

ლოზანის კონფერენცია

ჩაილდის გამოსვლის გამო.

ბორდო. 23 ნოემბ. გაზეთები მსჯელობენ ამერიკის წარმომადგენლის ჩაილდის გამოსვლით გამოწვეულ შთაბეჭდილების შესახებ. ინგლისის დელეგაცია აცხადებს, რომ ბრიტანიის მთავრობა იღებს რა ამსტერდამის განცხადებაში გამოხატულ პრინციპებს, მზად არის გააუქმოს სან-რემოში დადებული ხელშეკრულება.

მოკავშირეების მუქარა.

ბორდო. 28 ნოემბ. „ტან“-ის ცნობით, თუ ოსმალეთის დელეგაცია კვლავ განაგრძობს შეურიგებელ პოზიციაზე დგომას, მოკავშირეები განსაზღვრავენ მოლაპარაკებას ლოზანაში მხოლოდ ოსმალეთის და საბერძნეთის პოლიტიკური მდგომარეობის გადაწყვეტით და ფინანსიური პრობლემის განხილვა გადადებულ იქნება შემდეგისათვის.

ბორდო. 25 ნოემბ. კვირას გაიმართა კერზონის, ბარრერის, ჩაილდის და ისმეტ-ფაშის თათბირი.

სამხედრო ტერიტორიალურ კომისიებში.

ბორდო. 26 ნოემბ. შაბათს სამხედრო-ტერიტორიალური კომისიას არ გაურჩევია არავითარი საკითხი, რომ ამით მიეცა დელეგაციებისთვის დრო და საშუალება კერძო თათბირებზე მოეწესრიგებიათ ყველა საძნელო საკითხები. დღის სხდომაზე საერთო თანხმობით უარყოფილი იქნა შეხედულება ეგეიის არხიპელაგის კუნძულებისთვის ავტონომიის მიცემის შესახებ.

ფინანსიური კითხვები.

ბორდო. 26 ნოემბ. ორშაბათს დილით კონფერენცია შეუდგება ფინანსიურ საკითხების განხილვას.

დელეგატთა შორის.

ბორდო. 26 ნოემბ. კვირას მოხდა ხანგრძლივი თათბირი ბარიერის, კერზონის და ისმედ-ფაშას შორის. გაზეთები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ამერიკის დელეგატის ჩაილდის გამოსვლას შაბათის სხდომაზე, რომელმაც მოითხოვა „ღია კარების“ რეჟიმის დადგენილება მესოპოტამიაში.

ისევ იმ ადგილზე.

ბორდო. 26 ნოემბ. „ეკო დე პარი“-ს ცნობით ორმა სხდომამ, რომელიც მოხდა შაბათს სამხედრო-ტერიტორიალურ კომისიაში, ვერ წასწია წინ კონფერენციის მოლაპარაკება და ამ გვარად ოსმალების მოთხოვნილება დასავლეთი ფრაკიის შესახებ, საკითხი კარაგაჩაზე, განიარაღებულ ზონაზე მარიცის საზღვრის გასწვრივ და ბოლგარეთისთვის ეგეის ზღვაზე გასავალზე ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია.

ბორდო. 26 ნოემბ. ევროპის ოსმალეთის საზღვრების საკითხის განხილვის დროს ისმედ-ფაშამ, ვენიზელოსმა და ნიშიჩმა მცირე ანტანტის სახელით განიმეორეს თავიანთი წინანდელი განცხადებანი. „ტანის“ სიტყვით სჩანს ყველაფერი დარჩა ძველ პოზიციებზე.

დედეაგაჩის ნავთსადგური.

ბორდო. 26 ნოემბ. კომისიამ, გენერალ ვეიგანდის თავმჯდომარეობით, დაადგინა რომ აღმოსავლეთის ფრაკიის თვითეულ მხრიდან უნდა იქნეს დაარსებული ნეიტრალური ზონა 30 კილომეტრით და რომ ნავთსადგური დედეაგაჩი უნდა გახდეს თავისუფალ ნავთსადგურად საერთაშორისო ორგანოს კონტროლის ქვეშ.

„პტი პარიზიენის“ კორესპოდენტს ვენიზელოსმა განუცხადა, რომ საბერძნეთს მეტი აღარ შეუძლია მისცეს ბოლგარეთს თავისი ტერიტორია.

სხვადასხვა ამბები

სპარსეთის მეჯლისში.

ტეგერანი. 28 ნოემბ. სპარსეთის მეჯლისის დახურულ სხდომებზე მეორე დღეა სწარმოებს გაცხოველებული კამათი რუსეთის საკითხის გამო. ამის გამო მოსალოდნელია კაბინეტის დაცემა. პრესის წარმომადგენლებთა ინტერვიუში საბჭოთა რუსეთის სრულ უფლებიანმა წარმომადგენელმა შუმიაცკიმ განაცხადა: „ჩვენ არ გვაქვს არსებულ კაბინეტთან კონტაქტი, საქმიანი ურთიერთობა. მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რადიკალური ცვლილება სპარსეთის მთავრობის პოლიტიკაში რუსეთის საკითხის მიმართ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

პოლიტიკური განათლების მთავარ განყოფილებათა სრულიად-რუსეთის ყრილობა.

მოსკოვი. 28 ნოემბერი. პოლიტიკური განათლების მთავარ განყოფილებათა სრულიად-რუსეთის მესამე ყრილობაზე ლუნაჩარსკიმ მიუთითა ახალი ინტელიგენციის წარმოშობაზე, რომელიც სცვლის ძველს, რაც გამოწვეულია უმაღლეს სკოლაში კლასობრივი მიღებისა და მუშათა ფაკულტეტების მუშაობის გზით ბუბნოვმა აღნიშნა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის ილიუზიები იდეოლოგიის სფეროში სავსებით დამარცხებულია.

კრუპსკაიამ ხაზი გაუსვა პოლიტიკურ განათლების მთავარ განყოფილების შემდეგ ამოცანებს: პარტიულ და საბჭოთა მუშაკების მომზადება, საბჭოთა პარტიულ სკოლების აპარატის გაუმჯობესება, პოლიტიკური უცოდინარობის ლიკვიდაცია და წარმოების ცოდნის გაღრმავება.

საბჭოთა მართლმსაჯულება.

მოსკოვი. 28 ნოემბერი. სამი დღის გარჩევის შემდეგ უმაღლესმა ტრიბუნალმა დაამთავრა საქმე საფრანგეთის სამსახურში მყოფ ლეიტენანტ სალველის, რომელმაც გახსნა ბათომში კომერციული კანტორა და აწვდიდა საფრანგეთის წარმომადგენლობას სტამბოლში ცნობებს წითელი არმიისა და ამიერ-კავკასიის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. სოლვალს მიუსაჯეს სამი წლის ციხე.

სრულიად-რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმმა დასტოვა ძალაში განაჩენი „ორეხოვო-ზუევის“ ტრესტში მომხდარ ბოროტმოქმედების შესახებ; ამავე დროს სიმონოვს, ჩლენოვს და კონდოროვიჩს უმაღლესი სასჯელი შეუცვალეს ათი წლის ციხით.

დამშეულთა დამხმარე უცხოეთის ორგანიზაციები.

მოსკოვი. 28 ნოემბერი. რუსეთ-ამერიკის ადმინისტრაცია ნოემბერში გასცემს ბავშვებზე და ავადმყოფებზე 950.000 ულუფას. იანვრის განმავლობაში მის მიერ გაცემული იქნება 2 მილიონი ულუფა.

ნანსენის ორგანიზაციამ პირველ იანვრამდე შეიძლება ასაზრდოოს 424.000 კაცი თვეში, განსაკუთრებით ბავშვები. კვაკერებს განზრახვა აქვთ ყოველდღიურად თავის ხარჯზე შეინახონ 200 000 კაცი და მისცენ გლეხებს 1000 ცხენი და 10 ტრაქტორი კატოლიკები ყოველთვიურად დახმარებას აღმოუჩენენ 50,000 კაცს, განსაკუთრებით ბავშვებს.

ამერიკელ ებრაელების კომიტეტი პირველ ნოემბრიდან უკვე შეუდგა 3 000.000 სასურსათო ულუფის განაწილებას. მოზრდილთათვის სასურსათო ამანათების გამოსაგზავნად გადადებულია 275.000 დოლარი, ბავშთა დაწესებულებებისათვის— დამატებით 400.000 დოლარი.

კომინტერნში

მეოთხე კონგრესი

მოსკოვი. 28 ნოემბ. 24 ნოემბრის დილის სხდომაზე მომხსენებელმა აგრარულ საკითხზე ვარგამ სთქვა: „კომპარტიამ უნდა გაუწიოს გლეხობას მხურვალე დახმარება და უნდა ისწრაფოდეს რათა მიიმხროს წვრილი გლეხობა და ნეიტრალიზაცია უყოს საშუალოს. ევროპაში გლეხობა იმყოფება „კულაკების“ და მემამულეების მძიმე უღლის ქვეშ. აუცილებელია გარჩეული იქნეს გლეხობის სამი ტიპი: კოლონიალურ ქვეყნების, ფეოდალური ნაშთების მქონე ქვეყნების და კაპიტალისტურ ქვეყნების. ომის შედეგით გლეხობა გამდიდრდა, რამაც გამოიწვია კლასობრივი წინააღმდეგობათა გამწვავება გლეხობის და პროლეტარიატ შორის. აგრარულ მოძრაობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს სოფლის პროლეტარიატი, მოკავშირე ქალაქის პროლეტარიატისა. ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე მივიმხროთ მცირე მიწის მქონე გლეხობა და ნახევრად გლეხობა, უკეთუ მხარს დავუჭერთ მათ კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში. კომპარტიამ ხაზი უნდა გაუსვას აგრარული რეფორმის ბურჟუაზიულ პროექტების ნაკლულოვანებებს და მიუთითოს აგრარული რევოლიუციის უპირატესობაზე. კომპარტიები, ცხადია, არ უნდა გადიქცნენ ჩვეულებრივ გლეხურ რადიკალურ პარტიებად, თუმცა მეორე მხრით მავნებელია აგრეთვე შიშიანობა გლეხთა მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისა. კომუნისტებმა უნდა შექმნან იაჩეიკები ყველა წვრილ გლეხურ და უმიწაწყლოთა ორგანიზაციებში... გლეხობის მოთხოვნილებანი უნდა იქნეს დაკმაყოფილებულნი არა პროლეტარიატის არამედ ბურჟუაზიის ხარჯზე. კომპარტიამ რევოლიუციონურ ბრძოლაში უნდა გააერთიანოს სოფლის ყველა მშრომელი ელემენტები ქალაქის პროლეტარიატთან.

საფრანგეთის დეპუტატი.

რენოკანი (?) ამბობს, რომ რევოლიუციის კეთილდღეობისთვის აუცილებელია გლეხობის მიმხრობა და აღნიშნავს, რომ გლეხობის ფსიხოლოგია შეიცვალა. საფრანგეთის გლეხობა უკმაყოფილოა (გამოტოვებულია).

ფედოროვიჩი აღნიშნავს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა წარმოადგენს გლეხობის და პროლეტარიატის ერთმანეთთან დაკავშირების ახალ ფორმას. სოფლებში საშუალო საუკუნის წყობილების ელფერი იცვლება ახლით. ახალი ეკონომიური პოლიტიკის მეოხებით ნათესი მიწის რაოდენობა მატულობს, გლეხობის სულიერი განწყობილება მშვენიერია.

ინგლისის დელეგატი დეუხი ამბობს, რომ უმუშევრობის გამო ინგლისში შემჩნეულია სოფლებისაკენ ლტოლვილება, რასაც არ ძალუძს მთელი უმუშევართა მასსის დაკმაყოფილება. ინგლისში არ არის გლეხობა, არსებობს მხოლოდ სოფლის პროლეტარიატი.

რუმინიის დელეგატი პაუკერი ფიქრობს, რომ კომუნისტებს შეეძლებათ გადმოიბირონ და მიიმხრონ მხოლოდ მცირე მიწის მქონე გლეხობა, საშუალო გლეხობას კი უნდა ეყოს ნეიტრალიზაცია. აგრარულმა რეფორმამ რუმინიაში გადასცა გლეხობას მხოლოდ არსებული მიწის ნახევარი. კომუნისტებმა უნდა იზრუნონ, რათა მიწა სავსებით გადავიდეს გლეხობის სარგებლობაში.

— კომინტერნის კონგრესის 25 ნოემბრის სხდომაზე გრძელდება კამათი აგარული საკითხის შესახებ.

პოლონეთის დელეგატი კოსტრჟევსკი აღნიშნავს, რომ კომპარტია არ აქცევს სათანადო ყურადღებას აგარულ საკითხს, ამიტომაც ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა გლეხობის და მუშათა კლასის შორის რევოლიუციონური კავშირის განხორციელება.

კატაიამი (იაპონია) აცხადებს, რომ გლეხობა, რომელიც შეადგენს იაპონიის მცხოვრებთა 60 პროც. მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს. მიწა თავად-აზნაურების ხელშია, მილიონობით გლეხები სრულიად უმიწაწყლონი არიან. იაპონიაში ამ ჟამად ადგილი აქვს გლეხების მოძრაობას, რომელიც მოითხოვს მიწის ნაციონალიზაციას. ცხოვრებაში ტარდება მუშების და გლეხების რევოლიუციონური კავშირი.

კონგრესი ირჩევს კომისიას აგრარული საკითხის პროგრამის რედაქციის შესამუშავებლად.

— ახალგაზრდობის კომინტერნის მოღვაწეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. შილერი, რომელიც ამბობს: „კაპიტალის შეტევაზე გადმოსვლის შედეგი არის ახალგაზრობის გაღატაკება და გადაგვარება. ახალგაზრდობის პოლიტიკური დევნა უფრო ძლიერია, ვინემ მუშების დევნა. უნდა განვახორციელოთ მშრომელი ახალგაზრდობის ერთიანი ფრონტი, ახალგაზრდობის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა უნდა გააფართოვონ და გააერთიანონ ახალგაზრდობის რევოლიუციონური ელემენტები.

ბილინსკი მოხსენებაში ნეგრების საკითხის შესახებ აღნიშნავს, რომ კომინტერნი აერთიანებს ყველა რასის მშრომელთ, მაშინ როდესაც მე-2 ინტერნაციონალი აერთებს მხოლოდ თეთრ კანიან მუშებს. მომხსენებელი აღნიშნავს ჩამორჩენილ და დაჩაგრულ ნეგრების მძიმე მდგომარეობას. ჩრდილოეთ ამერიკაში მწარმოებლები ნეგრების შეუბრალებელ ექსპლოატაციას ეწევიან და იყენებენ მათ შტრეიხბრეხერებათ. სამხრეთ ამერიკაში ფაქტიურად ჯერ კიდევ არსებობს მონობა. კაპიტალისტები აღვივებენ ნეგრებს შორის რასსიულ შურს და მტრობას და აწარმოებენ პროპაგანდას თეთრკანიან მუშების წინააღმდეგ. ნეგრების მუშათა ორგანიზაციები ლეგალობას მოკლებულნი არიან. მომხსენებელი წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნეს მოსკოვში ნეგრების ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციების კონგრესი იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის მიზნით.

კონგრესზე დამსწრე ნეგრების ცნობილი პოეტი მაკ კეი აცხადებს, რომ ის კომუნისტი არ არის, მიუხედავათ ამისა, ის დარწმუნებულია, რომ კომინტერნი მხარს დაუჭერს ნეგრების დაჩაგრულ რასას მის რევოლიუციონურ ბრძოლაში.

პროფინტერნში

პოლონეთის დელეგაციის სახელით ლუნსკი იტყობინება, რომ მუშაობის პირობები პოლონეთში განსაკუთრებით მძიმეა. ამსტერდამელები აწარმოებენ ბრძოლას რევოლიუციონერებთან პოლიციის და დამცველი რაზმების დახმარებით. „მიუხედავად ამისა, განაგრძობს ორატორი, მთელ რიგ კავშირებში ჩვენი გავლენა ძლიერ გაიზარდა ერთიანი ფრონტისათვის და ამსტერდამელების ტენდენციასთან ბრძოლის საშუალებით. პროფინტერნის გავლენის ქვეშ იმყოფება 10 კავშირი, მათი წევრების რიცხვი უდრის 75,000 კაცს.

ამსტერდამელები ყოველივე ღონეს ხმარობენ, რათა შეაჩერონ პროფინტერნის გავლენის ზრდა და რიცხავენ კავშირებიდან ყველას, ვინც არ ეთანხმება მათ ტაქტიკას. დღითიდღე პროფინტერნი პოლონეთში პოულობს უფრო მეტ გავლენას“.

მოსკოვი. 27 ნოემბ. (გადმოცემულია უფრო დაწვრილებით) 19 ნოემბერს გაიხსნა პროფინტერნის კონგრესი. ამხ. ლოზოვსკიმ შესავალ სიტყვაში სთქვა: „პროფინტერნის დაარსების შემდეგ განვლილი 16 თვე იყო პერიოდი ჩვენი ინტერნაციონალის პრინციპების პრაქტიკულად გამოყენებისა. 1921 წლის შუა რიცხვებში ბურჟუაზიამ დაიწყო სისტემატიური იერიშები მუშათა კლასის წინააღმდეგ არა მარტო ხელფასის შემცირების, არამედ მუშათა მოძრაობის დაქსაქსვის და მუშათა ორგანიზაციების დაშლის მიზნითაც ამასთან ერთად ძლიერდება პოლიტიკური რეაქცია. ფაშიზმი იტალიაში არის მსოფლიო ფაშიზმის განსახიერება. მსოფლიო რეაქციის ფონზე მხოლოდ საბჭოთა რუსეთი სდგას ურყევათ, როგორც მიუვალი პროლეტარული ციხე-სიმაგრე. თვით მისი არსებობა დიდ საფრთხეს უმზადებს კაპიტალიზმს. პროფინტერნმა შესძლო თავის ირგვლივ აღმოსავლეთის ახლად გამოღვიძებულ პროლეტარიატის შემოკრება. იაპონიამ, ჩინეთმა და იავამ გამოგზავნეს აქ თავისი წარმომადგენლები. პროფინტერნის ამოცანაა მუშათა მასსებში მაქსიმალური შეგნების შეტანა, ბრძოლის უნარის განმტკიცება და მათი ორგანიზაციულად შეკავშირება. პროფინტერნის მოღვაწეობის ყოველი დღე თან და თან გვაახლოებს ამ ამოცანების მიხწევასთან. ამსტერდამის ინტერნაციონალს არაფერი არ გაუკეთებია კაპიტალიზმის იერიშების მოგერიებისათვის, რადგან ამსტერდამის ბელადებს ყველაფერზე მეტად კლასიურ წინააღმდეგობათა გამწვავება აშინებთ“.

კონგრესი ირჩევს პრეზიდიუმს შემდეგი შემადგენლობით: ლოზოვსკი, მელნიჩანსკი და ტომსკი რუსეთისაგან, გეკკერტი გერმანიისაგან, მონმუსო საფრანგეთისგან, ვატტი ინგლისისაგან, პავლიკა ჩეხო-სლოვაკიისგან, დიმიტროვი ბალკანეთისაგან, კოდიასა ისპანიისაგან, მაკდონალდი ჩრდილო ამერიკისგან, კუნიტარო ანდო იაპონიისგან, ჩეკ ხონ-კი ჩინეთისგან, ჯერმანეტტო იტალიისგან, ვეკაშარეი სამხრეთ ამერიკისგან. კონგრესის გენერალურ მდივნად არჩეულ იქნა ისპანიის დელეგატი ნინი. არჩეულ იქნა კომისიები სამანდატო, საკოოპერაციო, საფინანსო და სექცია აღმოსავლეთის საკითხის შესახებ.

საფრანგეთის დელეგატი დიუდილენი ესალმება კონგრეს საფრანგეთის უნიტარულ-საერთო კონფერენციის სახელით, აღნიშნავს, რომ საფრანგეთის რევოლიუციონურ სინდიკალისტებმა კავშირი გასწყვიტეს ამსტერდამთან და ამიერიდან ბედნიერება ექნებათ იბრძოლონ პროფინტერნის დროშის ქვეშ.

გერმანიის დელეგატი ესალმება კონგრესს გერმანიის იმ პროფკავშირების 2 ნახ. მილიონ წევრთა სახელით, რომელნიც ოპოზიციაში უდგანან ამსტერდამს და მეზღვაურთა კავშირის გელზენკირხენის 160.000 წევრთა სახელით, რომელნიც პროფინტერნს შეუერთდენ. გერმანიის პროფკავშირებში იზრდება კომუნისტების გავლენა. პროლეტარიატმა განიცადა რკინისგზელთა და მელითონეთა გრანდიოზული გაფიცვა.

— პროფინტერნის კონგრესის 23 ნოემბრის სხდომაზე გრძელდება კამათი აღმასრულებელ ბიუროს ანგარიშის შესახებ.

საბოლოო სიტყვაში ამხ. ლოზოვსკი აღნიშნავს, რომ კამათმა ბიუროს ანგარიშის შესახებ დაადასტურა პროფინტერნის პოლიტიკის სისწორე და პროფინტერნის ერთსულოვნობა პროგრამის და ტაქტიკის უმთავრეს საკითხებში. ლოზოვსკი მიუთითებს, რომ პროფინტერნის უმთავრესი დამსახურება განვლილ პერიოდის განმავლობაში მდგომარეობს არა იმდენად საგარეო საორგანიზაციო მუშაობაში, რამდენად მისი მომხრეების შინაგან ორგანიზაციაში: ერთობის განმტკიცება, სხვადასხვა გვარი იდეოლოგიური მასსების გაერთიანება და შეკავშირება.

კონგრესი ერთხმათ (საფრანგეთის დელეგაციამ თავი შეიკავა) იღებს რეზოლიუციას აღმასრულებელ ბიუროს მოხსენების გამო. საფრანგეთის დელეგატი მონმუსო აცხადებს, რომ საფრანგეთის დელეგაციის მიერ თავის შეკავება ფორმალურად აიხსნება იმით, რომ შრომის უნიტარული კონფედერაცია არ იყო პროფინტერნის წევრი საანგარიშო წლის განმავლობაში. რეზოლიუცია იწონებს აღმასრულებელ ბიუროს მოღვაწეობას, რომელიც მიმართული იყო ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ და აღნიშნავს ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიუროსადმი მიმართვის მიზანშეწონილობას და სისწორეს. რეზოლიუცია ხაზს უსვამს, რომ თუ ბურჟუაზიის წინააღმდეგ გაერთიანებული მოქმედება არ დაიწყო, ეს მოხდა ამსტერდამის წყალობით, რომელიც უპირატესობას აკუთვნებდა ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას. რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ საჭიროა საერთაშორისო კომიტეტების ზეგავლენის გაძლიერება წარმოებებში და წინადადებას აძლევს აღმასკომს გააძლიეროს კომიტეტების საორგანიზაციო-საპროპაგანდო მოღვაწეობა. აღმასრულებელი ბიუროს მნიშვნელოვან ამოცანად კონგრესი სთვლის ყველა პროფინტერნის ორგანიზაციების სათანადო კავშირს ცენტრთან.

სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლ. აღწერა

აღწერა დასაბამია სტატისტიკის.
სტატისტიკა—ცხოვრების სარკე.

საქართველოს, აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის ქალაქთა მოსახლეობას

მოქალაქენო!

მიმდინარე წლის **ნოემბრის 30-ში** საქ. ს. ს. რ. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო, თანახმად ა/წ. 7 ოქტომბრის დეკრეტისა, შეუდგება **სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერას.**

საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ეს იქნება პირველი ძირითადი აღწერა, რომლის მასალები საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგში ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ აღშენებლობას.

რთული და მრავალფეროვანი ცხოვრება ჩვენი ქალაქებისა ჯერ კიდევ შეუსწავლელია და საზოგადოებრივი ცხოვრების მკვლევარისთვის იგი თითქმის წყვდიადით არის მოცული.

დროა ამ წყვდიადის განფანტვისა. დროა ნათელი მოვფინოთ ჩვენი ქვეყნის სინამდვილეს. ამ მიზნით სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო ჰკიდებს ხელს ამ საქმეს—**ქალაქთა მოსახლეობის აღწერას.**

აღწერას არ უნდა გამორჩეს არც ერთი ადამიანი; უპასუხოდ არ უნდა დარჩეს არც ერთი კითხვა აღწერის პროგრამისა.

ამ აღწერამ უნდა გააშუქოს მრავალი საკითხები ჩვენი ქალაქების ცხოვრებიდან; საკითხები სახალხო განათლების, ჯანმრთელობის, შრომის და ბინის პირობათა გაუმჯობესების შესახებ და სხვა მრავალი საჭირ-ბოროტო კითხვები.

მომავალმა აღწერამ, როგორც სარკემ, უნდა დაგვანახოს თუ რა პირობებში გვიხდება ცხოვრება, რაში გამოიხატება ჩვენი საჭიროებანი და ჩვენი ცხოვრების სუსტი მხარეები.

მან უნდა მოგვცეს ჩვენ სრული და სწორი ცნობები—ნამდვილი სურათი ჩვენი ცხოვრებისა, ურომლისოდ საშუალებას მოკლებულნი ვიქნებით ვაწარმოვოთ გონივრული და მიზანშეწონილი მუშაობა ჩვენი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ჩვენი კეთილდღეობის მოსამზადებლად.

მოქალაქენო, მოგვეცით სწორი ცნობები, იცოდეთ, რომ აღწერა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს მიმართული თქვენი ინტერესების წინააღმდეგ.

იცოდეთ, რომ ასეთი დიდმნიშვნელოვანი და რთული საქმის განხორციელება ბევრად დამოკიდებულია თქვენს მხურვალე დახმარებაზედ, თქვენს თანაგრძნობაზედ.

არავითარი დაბრკოლება, არავითარი ზღუდე არ უნდა ეღობებოდეს ჩვენი ცხოვრების სინამდვილის შესწავლას.

თვითეული ჩვენგანი მოვალეა სრული შეგნებით და თანაგრძნობით შეხვდეს ასეთ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო-საზოგადოებრივ საქმეს და ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს მას.

ამისაკენ მოგიწოდებთ თქვენ **სრულიად საქართველოს სტატისტიკოსთა ყრილობის აღმასრულებელი კომისია** და სახელმწიფო სტატისტიკის მთავარი ორგანო—**სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო.**

მხოლოდ თქვენი დახმარების და თანაგრძნობის იმედით სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო შეუდგება ამ საპასუხისმგებლო საქმის განხორციელებას.

სრულიად საქართველოს სტატისტიკოსთა ყრილობის
აღმასრულებელი კომისია.
სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო

1922 წ. ნოემბრის 25.
ქ. თბილისი.

გადასახლების საკითხი

III.

წინა წერილებში *) მე აღვნიშნე საერთოთ მიწის სიმცირით გამოწვეული დიდი გაჭირვება. აღვნიშნე თუ რას უქადის ხრონიკული შიმშილი რამოდენიმე მაზრების მცხოვრებთ, განსაკუთრებით კი რაჭის გლეხებს.

ეხლა საჭიროა აღვნიშნოთ არა მარტო ფაქტი გაჭირვებისა, არამედ მივუთითოთ ყველა იმ კონკრეტულ ზომებზე თუ როგორ შეიძლება ბოლო მოვუღოთ ამ უბედურებას, რა პრაქტიკულ ზომებს აყენებენ ამხანაგები. „მოგეხსენებათ, რომ რაჭის ტყეებით დაფარული დიდი რაიონები: ნიკორწმინდის, სადმელის, გლოლის და სხვა, სამაზრო ხელისუფლების უმთავრეს საზრუნავ საგანსაც დღეს წარმოადგენს, დაიფაროს ეს რაიონები ისეთი გამანადგურებელი უწესო ექსპლოატაციისაგან, როგორსაც ეწეოდენ გასულ წელს უმთავრესად კონტრ-აგენტი დათეშიძე და ვინმე ივანოვი. სამაზრო აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა ჩვენი ცენტრალური ხელისუფლების წინაშე, რათა რაჭის ტყეების ექსპლოატაციის წარმოებაში უპირატესობა მიეცათ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის და არა კერძო პირებისათვის, რაც შეწყნარებულ იქნა. ამნაირად მთელი რაჭის ტყეების ექსპლოატაცია გადასულია ადგილობრივი ორგანოების ხელში. მათ სურთ გააჩაღონ ტყეების ექსპლოატაცია, გახსნან რამოდენიმე პუნქტებში ხერხის ქარხნები, (ერთი უკვე მოწყობილია ნიკორწმინდის საგარაკო ტყ ში ხარის თვალზე), ააშენონ ელექტრონის ჰიდრავლიური სადგური სადმელში, მოაწყონ ტყავების დასამზადებელი ქარხანა, ვინაიდან უმთავრესი მასალა თრიმლი მაზრაში ბლომათ იშოვება, მოაწყონ აგრეთვე რაციონალურად გენერალური წყლების ექსპლოატაცია (მაზრაში ასეთი წყლები ბევრგან არის) და სხვ., რომ ყველა ზემო ჩამოთვლილი ღონისძიებით ჩათრეული იქნეს რამოდენიმე ასი მუშა ხელი წარმოებაში და ამნაირათ ტარდებოდეს სისტემატიური ბრძოლა შიმშილის წინააღმდეგ. ყველა ასეთი პრაქტიკული ზომები, შესაძლებელია და აუცილებელიც; ერთი ეს. ხოლო მეორე—ამხანაგები ამბობენ: „ვსთხოვოთ ცენტრალურ მთავრობას დაგვითმოს, რომელიმე რაიონში რამოდენიმე დესიატინა თავისუფალი ნოყიერი სახნავი მიწა და დიდი ტრაქტორები, დავამუშავოთ ეს მიწები—მოვიყვანოთ მოსავალი და მივაწოდოთ მაზრას საჭირო საზრდოვო. აი ყველა ის უმთავრესი პრაქტიკული ზომები, რითაც სურთ ჩვენს ამხანაგებს გაუწიონ ბრძოლა სიმშილს ისეთ გაჭირვებულ რაიონებში, როგორიც რაჭაა.

დაახლოვებით ასეთივე ზომების მომხრე არიან სხვა მაზრებში ჩვენი ამხანაგები და თავის თავად ცხადია რომ გადასახლების კითხვის, ეხლავე დარტყმითი წესით მოგვარებას—პირველ რიგში სწორეთ ამ ზომის წამოყენებას არ ეთანხმებიან და ჩვენი უთანხმოების სათავეც აქ არის.

მე გადაჭრით ვამტკიცებ, რომ ყველა ზემო აღნიშნული პრაქტიკული ზომები შიმშილის წინააღმდეგ არიან პალიატიური ხასიათისა და არა რადიკალური. ვიმეორებ, რომ ხრონიკული შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლის სიმძიმის ცენტრი დღესვე უნდა გადატანილ იქნას სხვა სფეროში, შეიძლება ეს გაცილებით უფრო მტკივნეული, ხანგრძლივი და მძიმე შორს სავალი გზა იყოს, მაგრამ სამაგიეროთ ის უტყუარია და ჩვენი ბრძოლა შიმშილის წინააღმდეგ იქნება უფრო ნაყოფიერი და დაბეჯითი ამ გზით..

საჭიროა აგრეთვე ჩვენი ჭაობიანი ადგილების გაშრობა და მათი საცხოვრებლათ გამოყენება. ამ მხრით დაწყებულია მუშაობა, რაც დიდ ენერგიას, დროს და მატერიალურ საშუალებებს იწირავს, მაგრამ ჯერ ჯერობით კი საგრძნობი შედეგებისათვის ვერ მიგვიღწევია.

პრაქტიკულ წინასწარ ზომებათ საჭიროთ მიმაჩნია: 1) იმ გადასახლების ქვე განყოფილებაში, რომელიც არსებობს სამიწათმოქმედო კომისარიატში, უნდა მოხდეს რადიკალური ცვლილება. შესდგეს ახალი გადასახლების კომიტეტი; 2) დაუყოვნებლივ იქნეს გამორკვეული რაოდენობა იმ თავისუფალ მიწებისა, რომლებიც სიღნაღის, თელავის, ბორჩალოს ახალქალაქის, ახალციხის, გორის, თიანეთის და სხვა მაზრებში მოიპოვება დღეს; 3) დამშეულ მაზრებში აღმასკომებთან, შესდგეს გადასახლების კომიტეტები, რომელთაც ექნებათ პირდაპირი კავშირი ცენტრალურ კომიტეტთან; 4) ადგილობრივათ გადასახლების კომიტეტებმა უნდა აწარმოვონ სისტემატიური—აგიტაცია-პროპაგანდა გადასახლების სასარგებლოთ, სამაზრო პარტკომებისა, და აღმასკომების ენერგიული დახმარებით; 5) ადგილობრივმა კომიტეტებმა უნდა მოაწოდონ ცენტრალურ კომიტეტს გადასახლებულთა სწორათ შედგენილი სიები, რათა ცენტრმა ამით იხელმძღვანელოს, თუ რამდენი საით გადაასახლოს; 6) მთავრობამ უნდა გაიღოს საკმაოთ დიდი თანხა, რომ გადასახლების ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნას ფონდი გადასახლების პრაქტიკულათ ჩასატარებლათ. შემდეგ, სიმშილობის შედეგების წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტი უნდა წარმოადგენდეს ასეთი ფონდის შექმნისათვის უმთავრეს წყაროს. (შესაძლებელია ჩემის აზრით, რომ სიმშილობის შედეგების წინააღმდეგ მებრძოლმა კომიტეტმა აიღოს გადასახლების მოგვარების ფუნქციები და არ დაგვჭირდეს ახალი კომიტეტების შექმნა. ამაზეც სასურველია, რომ ამხანაგებმა გამოსთქვან თავიანთი აზრი); 7) გადასახლების კომიტეტმა ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით უნდა შექმნას საექიმო და საფერშლო დამხმარე პუნქტები, როგორც გზაზე გადასავალ დროს აგრეთვე იქ სადაც ესახლებიან გლეხები; 8) გადასახლებულებს უნდა მიეცეს უფასოთ მასალები საცხოვრებელი ბინების ასაგებათ, და ამისათვის საჭირო იარაღები; 9) უნდა მიეცეს სათესლე იმ პირობით, რომ ახალი მოსავლის შემდეგ დაუბრუნდეს მთავრობას უპროცენტოთ თუ კარგი მოსავალი იქნება, თუ ცუდი იმ შემთხვევაში სულ ეპატიოს გლეხებს სათესლე ხორბალი; 10) რკინის გზაზე გინდ სხვა ტრანსპორტით მასიური გადაყვანა ხდებოდეს უფასოთ, უპირატესობა უნდა მიეცეს გადასახლებულთა ამხანაგობებს და შეღავათიანი პირობები შეიქმნას მათთვის.

ყოველივე ეს მოითხოვს ჩვენი ხელის უფლებისაგან დიდ ენერგიას, დიდ მატერიალურ საშუალებებს და ხანგრძლივ დროს. მიუხედავათ ამისა, ეს გზა არის ერთად ერთი რადიკალური საშუალება, რომ სიმშილს გაუწიოთ სასტიკი ბრძოლა და ვიხსნათ სიმშილით ამოწყვეტისაგან დამშეული მაზრების გლეხობა.

აუცილებლათ საჭიროა რომ ამ დიდ საქმეს დღესვე ჩავკიდოთ ხელი და რამოდენიმე წლის განმავლობაში გადასახლების საქმე სრული გამარჯვებით დაგვირგვინდება.

დ. ნახარიძე.

---

*) იხილე „კომუნისტი“ № 264, 266.

სასოფლო მეურნეობა

კახელ მევენახეთა პირველი ყრილობა

(იხ. „კომუნისტის“ № 273).

შემდეგ გამოდიან მისასალმებელი სიტყვებით სხვა და სხვა ადგილებიდან და დაწესებულებიდან. გაზეთ „მიწის მუშის“ რედაქციის სახელით კრებას მიესალმა კ. ბერეკაშვილი.

მისალმებების დასასრულ შემოვიდა წერილობითი განცხადება, თხოულობდენ ამხ. ფილიპე გამოსულიყო გარეთ და მისი მისვლის გამო მოგროვილი მრავალი ხალხისთვის სიტყვით მიემართა.

თხოვნა შესრულებული იქნა. ამხ. ფილიპე ყრილობასთან ერთად გამოვიდა გარეთ და მრავალ რიცხოვან მიტინგზე წარმოსთქვა სიტყვა.

მიტინგის დასასრულ ისევ გაგრძელდა ყრილობის მუშაობა. გაკეთებული იქნა მოხსენებები სპეცების მიერ. გაიმართა კამათი სახელმძღვანელო დებულებების შესახებ.

ყრილობამ გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილებანი.

1. მოისმინა რა მოხსენება საორგანიზაციო კომისიისა და მოხსენებანი ადგილებიდან, კახელ მევენახეთა ყრილობა აღიარებს, რომ კახეთში ამ უკანასკნელ წლებში ფილოქსერის სწრაფათ გავრცელების გამო შეიქმნა კატასტროფიული მდგომარეობა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც მოითხოვს სასწრაფო და ენერგიულ ზომების მიღებას, როგორც მთავრობის, აგრეთვე თვით მევენახეთა მხრივ.

2. ეთხოვოს მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატს იკისროს ამ საქმის საერთო ხელმძღვანელობა და აგრეთვე ზოგიერთ ღონისძიებათა გატარება თავის საშუალებით.

3) მთავრობის ღონისძიებათა პარალელურათ, ფართე დახმარება უნდა აღმოუჩინოს, როგორც საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა, აგრეთვე კერძო პირთა ინიციატივას ფილოქსერასთან ბრძოლის საქმეში.

ამ მიზნით, თუ საჭიროება მოითხოვს დაშვებულ უნდა იქნას მიწის საჭირო მიცემა ნორმის გარეშედაც.

4. ყრილობას სასურველად მიაჩნია, რომ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა:

ა) დაუყონებლივ მოაწყოს კახეთის ნიადაგების დეტალური გამოკვლევა, სანიადაგო რუქის შედგენა 1 ვერსიანი მასშტაბით და აგრეთვე რამდენიმე მცირე რაიონული ლაბორატორიები ნიადაგების სახელდახელო ანალიზების შესასრულებლათ.

ბ) დაარსოს კახეთში მევენახეობის საცდელი სადგური და მოაწყოს მთელი რიგი საცდელი ვენახების ნაკვეთებისა საჭიროების მიხედვით სახალხო მამულებში, სანერგეებში და სხვა პუნქტებში.

გ) რამდენადაც შესაძლებელია გააფართოვოს არსებული ამერიკული ვაზის სადედე ვენახები და სანერგეები და ამასთან ერთათ ხელი შეუწყოს ახალ ასეთ დაწესებულებათა დაარსებას.

დ) მოაწყოს სად. მუკუზანთან (მუკუზნის სახალხო მამულში) სანერგე, რომელსაც დაექვემდებაროს ადმინისტრატიულათ ჩუმლაყის სანერგე ამერიკულ ლერწის დასამზადებლათ.

ე) დაარსოს კახეთში საერთო სასოფლო სამეურნეო სასწავლებელთან ერთათ სპეციალურად მევენახეობის პრაქტიკული სკოლები, მენობის კურსები, მოაწყოს ლექცია საუბრები, და ამ მიზნით საზოგადოთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ფართე აგრონომიულ და ინსტრუქტორულ დახმარების მოწყობას.

ვ) შემოფარგლოს და ჩარიცხოს ხელუხლებელ სათადარიგო ფონდში სხვა და სხვა რაიონებში სანერგეების და საცდელი სადგურის მოსაწყობად საჭირო მიწების რაოდენობა და აგრეთვე შემოემატოს მიწების საჭირო რაოდენობა არსებულ სანერგეებს საგანგებო აგრარულ კომისიის საშუალებით.

5. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია კახეთის ვენახების აღდგენაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ თვით მევენახეებმა, რომელნიც ამ მიზნით გაერთიანებულ უნდა იქმნენ წვრილ რაიონულ მევენახეთა კოოპერატიულ ამხანაგობებში.

ეთხოვოს მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს შესაფერისი სანიმუშო წესდება და მიიღოს ზომები ასეთ ამხანაგობათა დასაარსებლათ.

6) ყრილობას საჭიროდ მიაჩნია ყველა აქ დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლათ გადადებულ იქმნას მთავრობის მიერ მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში ღვინო არაყზედ არსებულ სააქციზო გადასახადიდან გარკვეული პროცენტი (მაგ. 25 პროც.) და ეთხოვოს მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატს აღძრას სათანადო შუამდგომლობა მთავრობის წინაშე.

7. ყრილობას სასურველათ მიაჩნია მოეწყოს ფართე სასოფლო-სამეურნეო და აგრეთვე სამელიარაციო კრედიტი, რომელიც გაუადვილებს კახეთის მშრომელ ხალხს ვენახების აღდგენას.

8. საჭიროთ იქნას აღიარებული სეტყვისა და მოუსვლელობისაგან ურთიერთ დაზღვევის მოწყობა. ეთხოვოს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს იზრუნოს ასეთ ორგანიზაციების დაარსება-მოწესრიგებაზედ.

დილას, თბილისში წამოსვლამდე გურჯაანის სადგურზე გაიმართა მიტინგი, რომელზეც, მისდამი მიმართულ მისალმებების შემდეგ, ამხ. ფილიპემ წარმოთქვა შინაარსიანი სიტყვა. პატარა ხნის შემდეგ დაიძრა მატარებელი ტფილისისაკენ.

ხ. თალაკვაძე.

პარტიული ცხოვრება.

ცირკულიარულად

საქართველოს კომპარტიის ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი მრეწველობის მდგომარეობა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება ამ ჟამად მოითხოვს სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების გადიდებას.

სასოფლო-მეურნეობის კულტურის განვითარებას დიდად ხელს უშლის გლეხების ფართო მასის ჩამორჩენილობა, მეურნეობის წარმოებისათვის კულტურული ძალების უმარტივეს ფორმების უცოდინარობა.

მიმდინარე წლის თესვის კამპანიამ აშკარად დაგვარწმუნა, რომ სასოფლო-მეურნეობის ტეხნიკის არსებულ დონეზედაც შესაძლებელია სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების საგრძნობლად გადიდება, მეცნიერებით და გამოცდილებით დადასტურებულ მთელ რიგ ღონისძიებათა მასიურ გამოყენების გზით.

კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე სდგას უდიდესი ამოცანა: სასოფლო-მეურნეობის დაუყონებლივი, პრაქტიკულად შესაძლებელი გაუმჯობესებისა და აღდგენის მიღწევა და აგრეთვე სასოფლო-მეურნეობის აგიტაციისა და პროპაგანდის პირველ რიგში დაყენება.

კომუნისტურმა პარტიამ უნდა გამოიყენოს მომწიფებული ინტერესი სასოფლო მეურნეობის კულტურის საკითხებისადმი.

გლეხების მასების ყურადღება პარტიამ უნდა მიაპყრას ძირითად ღონისძიებათა მინიმალურ რაოდენობას რაც შეეფერება ნიადაგისა და კლიმატიურ პირობებს, ცოცხალი და არა ცოცხალი ინვენტარისა და გლეხური მეურნეობის მდგომარეობას. მიწადმოქმედების განყოფილებებმა გამოცდილებისა და მეცნიერების მიხედვით უნდა გამოარკვიონ ის ღონისძიებანი, რომელიც აუცილებელია ამ მხრივ, ხოლო პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველივე დახმარება უნდა აღმოუჩინონ მათ.

მიმდინარე წლის კარგი მოსავალი, ცოტათი მაინც დააამებს გლეხების ტკივილებს, მაგრამ მომავალშიც მოსალოდნელია სტიქიური უბედურებანი: გვალვა და წყალდიდობა, რასაც შეუძლია განუზომელი ზარალი მიაყენოს სასოფლო მეურნეობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას იძლევა ამ ზამთრის თვეებისათვის, სასოფლო-მეურნეობის აღდგენის მიზნით გაატაროთ კონკრეტიულად შემდეგი ღონისძიებანი:

1) მიწად-მოქმედების განყოფილებებთან მოეწყოს 6 კვირიანი სასოფლო-მეურნეობის კურსები. კურსებს უნდა გაეწიოს ყოველგვარი დახმარება. კურსები უნდა მოეწყოს თემებისა და რაიონების ადგილობრივ პირობების მიხედვით. კურსებზე მონაწილეობას უნდა იღებდნენ შეძლების დაგვარად ყველა რაიონების გლეხები.

2) მოეწყოს ლექციების კითხვა სასოფლო-მეურნეობის თემებზე თემებში და სოფლებში, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნენ აგრონომები, სპეციალისტები და ისეთი მუშაკები, რომლებიც გაცნობილი არიან სასოფლო მეურნეობის საკითხებს.

3) უნდა მოეწყოს გლეხების ექსკურსიები სახალხო მამულებში, რათა დაწვრილებით გაეცნონ მეურნეობისა და ქარხნების დაყენების საქმეს.

4) უნდა იმართებოდეს გლეხების (თემების და სამაზრო) უპარტიო კონფერენციები. ასეთი კონფერენციების დღის წესრიგი არ უნდა აივსოს ზედმეტი საკითხებით. კონფერენციის მიზანი იქნება პროპაგანდა სასოფლო-მეურნეობის უცოდინარობის წინააღმდეგ და უპარტიო გლეხების ჩაბმა საბჭოთა ხელისუფლების უშუალო აღმშენებლობაში. კონფერენციები მაგალითისათვის უნდა ჩატარდეს ამა წლის იანვარში

5) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმპერიალისტური ომის ყოფილ სამხედრო ტყვეების გამოყენებას, რომლებიც ნამყოფი არიან ავსტრიაში, გერმანიაში და სხვ. სახელმწიფოში და აქვთ პრაქტიკულად შესწავლული იქაური სასოფლო-მეურნეობა; უნდა ვიფიქროთ, რომ ყოფილი სამხედრო ტყვეები, თუ მათ კარგად გამოვიყენებთ, მოგვცემენ სერიოზულ შედეგებს სასოფლო მეურნეობის ცოდნის გავრცელების საქმეში.

6) მიექცეს ყურადღება წითელი არმიის სასოფლო მეურნეობის აღდგენის საქმეში ჩაბმას. გლეხი, რომელიც გაივლის წითელ არმიას უნდა იძენდეს სერიოზულ ცოდნას სასოფლო-მეურნეობის სფეროში. წითელი არმია უნდა მოვფინოთ სასოფლო მეურნეობის წრეებით, კურსებით და სხვ...

7) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სახელმწიფო მამულებში მუშაობის გაცხოველებას. კულტურულ-აღმშენებლობითი მუშაობა სახელმწიფო მამულებში უნდა განვითარდეს მაქსიმალურად: მიწაწყლის კავშირის ძირითად ამოცანას ამ ჟამად შეადგენს მისი წევრების აღზრდა, ხოლო მათი საშუალებით პოლიტიკური და სასოფლო მეურნეობის ცოდნის გავრცელება გლეხების შორის. გაძლიერებული იქნეს მუშაობა სასოფლო მეურნეობის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის და მიწატყის კავშირში კულტურული მუშაობის გაჩაღებისათვის.

8) დღემდე, მიუხედავად ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების მიერ მრავალჯერ მითითებისა, გლეხური გაზეთი „მიწის მუშა“ თქვენ მიერ არ ვრცელდება გლეხების შორის საკმაო რაოდენობით.

რათაც არ უნდა დაგვიჯდეს გაზეთი „მიწის მუშა“ უნდა დაუახლოვოთ და შევაყვაროთ გლეხებს. საჭიროა, რათა ყოველ ათეულ გლეხთა მოსახლეობაზე იწერებოდეს მაინც ერთი გაზეთი „მიწის მუშა“.

საჭიროა მოეწყოს გლეხობისათვის სამკითხველოებში, კლუბებში და სადაც კი ეს შესაძლებელი იქნება „მიწის მუშის“ კითხვა ახსნა-განმარტებით.

9) უნდა გამოყენებულ იქნეს სამკითხველოები, წერა-კითხვის შემსწავლი სკოლები ლექციებისათვის სასოფლო მეურნეობის სპეციალურ საკითხების გასაშუქებლად. საჭიროა დაწვრილებით განემარტოს გლეხებს დეკრეტი შრომის მიხედვით მიწის სარგებლობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ თქვენი აქტიური დახმარებით, აღნიშნული ღონისძიებანი მოგვცემენ საგრძნობ შედეგებს და მით განმტკიცდება ჩვენი რესპუბლიკის ძლიერება

ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ამ ცირკულიარს ადგილობრივი პარტიული მუშაკები მოეპყრობიან ძლიერ სერიოზულად.

მასალები კომპარტიის ჩასატარებლად, როგორიც არის: პროგრამა კურსების, ლექციების, საუბრების, კონფერენციების და სხვ. იგზავნება დამატებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი: მიხ, კახიანი

ც. კ. საავიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგის მოადგილე: ა. კვირიკაძე

ყველა რაიკომებს.

დახმარების იაჩეიკების გაუქმების შესახებ.

26 მაისიდან დაწყებული ტფილისის ორგანიზაციის არსებობის პერიოდი, რომელიც წარმოადგენს გარდატეხის მომენტს ტფილისის მუშების სიმპატიასა და განწყობილებაში, ხასიათდება მასში ახალი წევრების ფართო და გაძლიერებული შემოსვლით. მაგრამ პარტიაში მიღებისათვის დამაბრკოლებელი პირობები ხელს უშლიდა ბევრს ჩვენ თანამგრძნობ მუშებს, რათა შეეყვანენ მის რიგებში და მის გარეშე რჩებოდენ უპარტიო ამხანაგების მნიშვნელოვანი კადრები, რომლებიც იდეურად დაკავშირებული არიან ჩვენს პარტიასთან. სურდა რა მიეცა ამ ამხანაგებისთვის საშუალება პარტიულ მუშაობასთან შეერთებისა და მასთან ერთად გამოეყენებია მისწრაფება პარტიისადმი, მის ირგვლივ თანამგრძნობთა კადრის შექმნის მიზნით, რომელიც, გამოსადეგი იქნებოდა პრაქტიკულ მუშაობაში და ამავე დროს სადაც თავს მოიყრიდნენ პარტიის თანამგრძნობი ელემენტები, საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტმა სცნო მიზანშეწონილად გააერთიანებინა თანამგრძნობი მუშები განსაკუთრებულ ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულ ჯგუფებში—დახმარების იაჩეიკებში.

მაგრამ, ჩვენს ორგანიზაციაში დახმარების იაჩეიკების ინსტიტუტის არსებობის ხუთი თვის პერიოდმა ვერ მოგვცა ისეთი შედეგები, რომელსაც მოველოდით, პირიქით, პარტიული პრაქტიკის გამოცდილებამ ამ სფეროში აშკარად დაგვანახვა ამ ინსტიტუტის მიზან შეუწონლობა და უსიცოცხლობა და გაამოაშკარავა მისი უარყოფითი მხარეები.

ამ ინსტიტუტის უარყოფითი მხარეებს წარმოადგენს შემდეგი: დახმარების იაჩეიკების არსებობა ხელს უშლის პარტიის ნორმალურ ზრდას, ვინაიდან მრავალი უპარტიო მუშები, რომლებიც არ არიან შეჩვეული პარტიულ დისციპლინას, ცდილობენ შევიდნენ დახმარების იაჩეიკებში. და არა პარტიაში; დახმარების იაჩეიკები ფაქტიურად წარმოადგენენ პარტიის მიერ უარყოფილს თანამგრძნობთა ინსტიტუტს და ქმნიან კანდიდატთა ინსტიტუტთან ერთად, დამხმარეთა ინსტიტუტს; დახმარების იაჩეიკების ორგანიზაცია იპყრობს პარტიულ ორგანიზაციის ყურადღებას და ხელს უშლის მას პრაქტიკულ მუშაობაში, რომელიც მიმართულია სხვა მეთოდების გაღრმავებისაკენ უპარტიოთა შესახებ და სხვ,..

აღნიშნულ მოტივების მიხედვით, ტფილისის კომიტეტი დახმარების იაჩეიკების ინსტიტუტის არსებობას ორგანიზაციაში სთვლის მიზან შეუწონლად და არასასურველად და წინადადებას იძლევა შემდეგში გააუქმონ დახმარების იაჩეიკების ორგანიზაცია. ორგანიზაციაში არსებული დახმარების იაჩეიკები გაუქმებულ იქნეს და გადაკეთდეს ასეთები პოლიტიკურ წრეებათ და სასწრაფოდ იქნეს წარდგენილი ტფილისის კომიტეტის აგიტ-პროპში სია ყველა პოლიტიკურ წრეებად გადაკეთებულ იაჩეიკებისა, რათა მათზე მიმაგრებულ იქნენ ლექტორები.

ტფილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

ორგანიზაც. განყოფილების გამგე: **რუბენი.**

ქრონიკა

უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში

— **საფუთო გადასახადი.** უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ განიხილა რა შუამდგომლობა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ყრილობის საბჭოსი. დაადგინა: გადასახადი 1 ნახევარი კაპეიკი ოქროთი საზღვარგარეთ გატანილ ფუთ მარგანეცზე განაწილებული იქნეს შემდეგნაირად: 2 მეთექვსმეტედი კაპ. მიეცეს მარგანეცის მრეწველთა საბჭოს 9 მეთექვსმეტედი ქალაქ ჭიათურას, ხოლო 5 მეთექვსმეტედი ქალაქ ფოთს. აგრეთვე ცნობილ იქნა შესაძლებლათ, რომ სესხად მიეცეს ხსენებულ მრეწველთა საბჭოს 50 000 მანეთი ოქროთი, წყალდიდობისაგან დაზიანებულ მაღაროების აღსადგენათ.

◆ **აგარაკების მდგომარეობის გაუმჯობესებლათ.** უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა, საქართველოს აგარაკების გაშენება გაუმჯობესებისათვის მოიწვიოს თათბირი სახ. კომისარიატების ყველა დაწესებულებების წარმომადგენლების და გამოარკვიოს თუ რა სახით შეუძლია მათ მიიღონ მონაწილეობა ხსენებულ საქმის მოგვარებაში. აგრეთვე უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ დაავალა თავის თავმჯდომარეს გამოარკვიოს თუ რა დახმარების მიღება შეუძლიათ მეზობელ რესპუბლიკების მთავრობებს საქართველოს კურორტების გაუმჯობესების საქმეში.

◆ **ტელეფონის ქსელი.** უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით დაკმაყოფილებული იქნას ჭიათურის აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა, რომ გადაცემული იქნეს უკანასკნელის გამგებლობაში ტელეფონის ქსელი, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღმასრულებელი კომიტეტი აღადგენს ტელეფონის ქსელის მოქმედებას ჭიათურის ყველა მაღაროებში და ფასის გადახდევინების დროს იხელმძღვანელებს ომამდე არსებულ გადასახადის ორჯელ გადიდებული ნორმით.

განათლების კომისარიატში.

◆ **სახელმწიფო გადასახადისაგან განთავისუფლება.** თანახმად სახ. განათლების კომისარიატის შუამდგომლობისა წარმოებითი განყოფილებები უკანასკნელისა, განთავისუფლებულ არიან სახელმწიფო გადასახადებისაგან.

შრომის კომისარიატში

— **ფოსტა ტელეგრაფის სახალხო კომისარის რწმუნებულის შუამდგომლობა შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე.** საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარის რწმუნებულმა აღძრა შუამდგომლობა შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა ფოსტის გადამზიდველი მოიჯარადრეები გათავისუფლებულნი იქნეს შრომის ხარკისაგან. რწმუნებული განმეორებით აღნიშნავს თავის შუამდგომლობაში და დაბეჯითებით სთხოვს შრომის კომისარიატს, მოახდინოს განკარგულება: ყველა ფოსტის მზიდავების, როგორც ნატურალური, ისე ფინანსიური გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ, რომ არ შეფერხდეს ფოსტის წესიერი მიმოსვლა პროვინციებში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია აღნიშნული მოიჯარადრეების უარის თქმა ფოსტის გადაზიდვაზე.

— **შრომის ხარკის მოხმარება ზემო-ავჭალის ჰიდრო ელექტრონის სადგურისათვის.** ზემო ავჭალის ჰიდროელექტრონის სადგურის გადასაკეთებლათ შრომის ხარკის საშუალებით გამოყვანილ იქნა 1 ენკენისთვიდან 418 ურემი და 642 მუშა-ხელი, ხე ტყის, აგურის და ბოძების გადასაზიდავად და დროებითი გზის შესაკეთებლათ, აგრეთვე შენობებისათვის მიწის ამოსათხრელათ. აღნიშნული რიცხვი სადგურის ნაყოფიერ მუშაობისათვის ძლიერ მცირეა, ამის მიზეზია ადგილობრივი ხელისუფალთა უყურადღებობა, რომელნიც ზომიერ დახმარებას არ უწევენ შრომის კომისარიატს, რის შესახებაც უკვე მიღებულია სათანადო ზომები.

— **შრომის ხარკის ფულით შეცვლის გამო.** შრომის კომისარიატის დადგენილებით, წინადადება ეძლევათ ყველა ქალაქის ადგილობრივ ხელისუფალთ, შრომის ხარკის ფულით შეცვლის გამო მათდამი რწმუნებულ ქალაქებზე დარჩენილი ხარკი გადაიხადონ 6 დღის რაოდენობის მიხედვით, დაახლოვებით ორი კვირის განმავლობაში.

თბილისის მუშათა კოოპერატივში

— **საქონლის შეძენა.** 1—15 ნოემბრამდე თბილისის მუშათა კოოპერატივის გამგეობამ შეისყიდა და საწყობებში დაალაგა სხვადასხვა სასურსათო საქონელი სამი მილიარდისა და 492,175 000 მ. ამაში არ შედის რძის ნაწარმოები, რომელსაც ამზადებს კოოპერატივი საკუთარ ფერმებში.

— **საქონლის განაწილება.** ნოემბრის ნახევარში მუშათა მთლიან კოოპერატივს გადაუტრიალებია სულ 2,253,078,000 მანეთის საქონელი, ამათ შორის პური გაყიდულა—263,245,000 მანეთის, რძის ნაწარმოები—522,367.000 მანეთის, თევზეულობა—259,606.000 მანეთის, მანუფაქტურა 74,000,000 მანეთის, სხვადასხვა საქონელი—1,148 031,000 მანეთის ღვინო—17,839,000 მანეთის.

— **ახალი წევრები.** 1—15 ნოემბრამდე მუშათა მთლიან კოოპერატივში წევრთა რიცხვი გაიზარდა 191 კაცით, ამ ჟამად კოოპერატივის წევრთა რიცხვის რაოდენობა აღწევს 2,822 კაცამდე, რომლებსაც გადებული აქვთ საპაიო გადასახადი.

აღმოსავლეთ საქ. რევტრიბუნალში

— **დეზერტირი წითელ არმიელები.** 25 ნოემბერს საჯარო სხდომაზე რევტრიბუნალმა გაარჩია წითელ არმიელების არჩვაძის, გინუაშვილის და მოხევისშვილის საქმე, რომლებსაც ბრალდებოდათ დეზერტირობაში სახით არა ერთხელ მიტოვება ჯარის ნაწილისა. სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში ბრალდებულების მიერ გულწრფელად აღიარება დანაშაულის, რომ ისინი შემდეგში აღარ ჩაიდენენ ასეთ საქციელს, და აგრეთვე მათი დაბალ დონეზე დგომა განვითარების მხრივ, მიუსაჯა თითოეულს თითო წლით გამასწორებელ სახლში დაპატიმრება და ამასთანავე წართმევა წითელ არმიელის წოდების. მაგრამ სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის მიერ, ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის გამო გამოცემულ ამნისტიის მესამე მუხლის ძალით, აღნიშნული პირები სასამართლომ სრულებით განთავისუფლა სასჯელისაგან წითელ არმიელის წოდების დაბრუნებით, რომლებიც გადაგზავნილ იქნენ თავიანთ ნაწილებში სამსახურის გასაგრძელებლათ.

— **იარაღების დაკარგვა საქართველოს დივიზიის საარტილერიო საწყობიდან.** რევტრიბუნალმა მიიღო ცნობა საქართველოს დივიზიის საარტილერიო საწყობიდან ცეცხლის მსროლელ იარაღების დაკარგვის შესახებ, რის გამო საქმე სასწრაფოთ გადაეცა საგამომძიებლო ნაწილს ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენათ.

კრებები და მოხსენებები

— **სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებიდან 2 წლ. თავზე** ოთხშაბათს, 29 ნოემბერს, სომხეთში საბჭოთა წესწყობილების დამყარების 2 წლის თავის აღსანიშნავად, სომხეთის აკადემიურ კოლექტივის მიერ გაიმართება საზეიმო წარმოდგენა საღამო, რომელზედაც ამხ. მიასნიკოვი და ორჯონიკიძე გააკეთებენ მოხსენებას მომენტის შესახებ. გარდა ამისა დადგმულ იქნება პიესა „ბედნიერების რაინდი“ (рыцарь счастья) 1 ლი აქტი და სომხური გუნდი შეასრულებს სომხურ ხალხურ სიმღერებს და „ინტერნაციონალს“. საღამოზე აგრეთვე გაიმართება პოეტის ე. ჩარენცის „რადნო პოემის“ კოლექტიური დეკლამაცია. საღამოზე შესასვლელი ბილეთები უფასოთ ეგზავნებათ მუშათა ორგანიზაციებს, დარჩენილი ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. სეზონის ბილეთები, კონტრამარკები და მოწაფეების ბილეთები ამ საღამოზე გაუქმებულია.

— **დანოვსკის მოხსენება.** 30 ნოემბერს საღამოს 5 საათზე გ. მ. სახლში (კოლოუბნის ქ. № 3) ამხ. დანოვსკი გააკეთებს მოხსენებას „გალობის საკითხი“ შრომის სკოლებში.

სხვა და სხვა.

— **კამოს სახელობის ბავშთა სახლი.** ახალ ბებუთოვის ქუჩაზე ქალაქის თვითმმართველობამ გახსნა კამოს სახელობის ბავშთა თავშესაფარი. სახლი დაიტევს დაახლოვებით 6 ბავშს. ჯერ-ჯერობით თავშესაფარში მოთავსებულია 20 ქართველი ბავში, ხოლო ამ დღეებში კიდევ მოემატება 20 რუსი და 15 სომეხი უსახლკარო ბავშები. თავშესაფარის საზეიმო გახსნა მოხდება დეკემბრის პირველ რიცხვებში.

— **საყურადღებოდ.** ცენ. დაზღ. კასის შენობაში ვიპოვეთ: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიცემული მოწმობა № 56, და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების შესახებ სამხედრო კომისარიატიდან მიღებული მოწმობა № 159, ალექსანდრე ივანეს ძე კაროვის სახელზე. აგრეთვე სახელმძღვანელო ბაქტეროლოგია. პატრონს შეუძლიან მიიღოს დაზღვევ კასაში, ბარიატინის ქუჩა, № 6.

სასურსათო გადასახადის კამპანია

სულ რამდენია აკრეფილი?

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობით აღმოსავლეთ საქართველოს ათს მაზრაში, სადაც წლევანდელ სასურსათო გადასახადის აკრეფა სწარმოებს, ნოემბრის 28 სათვის შეგროვილია ხორბლეულის ერთეულით 566 525 ფუთი, ანუ 98,6 პროცენტი ამ მაზრებზე შეწერილ გადასახადისა.

ამ რიგად ასაკრეფია კიდევ სულ 1,4 პროცენტი, 8 ანუ 8,208 ფუთი ხორბლეულის ერთეული.

რომელ მაზრაში რამდენია აკრებილი?

მაზრები	რამდენი ფუთი აქვს შეწერილი 1922 წლისათვის?	რამდენი ფუთია აკრეფილი?	რამდენი პროცენტია აკრებილი?
გორისა	100 000	100.000	100,0
თელავის	60 000	60 000	100,0
სიღნაღისა	100 000	100 000	100,0
სამხრეთ-ოსეთი	25 000	25 000	100,0
ტფილისისა	70 000	70.000	100,0
ახალციხისა	55.000	55.000	100,0
ახალქალაქისა	34 000	34 000	100,0
ბორჩალოსი	80 000	78 075	98,4
დუშეთისა	30 000	27.704	92,4
თიანეთისა	20.000	15 378	76,9
სულ	574.000	566 525	98,6

ამ რიგად გადასახადი შესაგროვებელი სულ სამს მაზრაშია და ისიც მცირე. ბორჩალოს მაზრას დარჩა გადასახდელი 1 295 ფუთი ხორბლეულის ერთეული, დუშეთისა 2.291 ფ. და თიანეთისას 4.622 ფუთი.

ხელოვნება

— **სუმბათაშვილი—იუჟინი თბილისში.** მოსკოვის პატარა თეატრის ხელმძღვანელი ალექსანდრე სუმბათაშვილი—იუჟინი, რომელიც ამ ჟამად იმყოფება თბილისში, აპირებს ქართულ აკადემიურ დრამის თეატრში (რუსთაველის) დადგას ათამდე წარმოდგენა რუსულად. რეპერტუარში უმთავრესად შედის შექსპირი, შემდეგ ასტროვსკი და გრიბოედოვი.

— **გრიგოლ რობაქიძის „ლონდას“ წარმოდგენა.** რეჟისორი კ. მარჯანიშვილს განზრახვა აქვს, რუსთაველის თეატრში „ცხვრის წყაროს“ შემდეგ დადგას გრიგოლ რობაქიძის „ლონდა“, რომელიც შარშან წარმოდგენილი იქნა რუსულ ენაზე ყოფილ სამხატვრო რევოლიუციონურ თეატრში.

— **ახალ მწერალთა კავშირში.** საქართველოს ახალ მწერალთა კავშირმა შეიმუშავა პირველ ორი თვის მოხსენებათა ციკლი. მოხსენებებს წაიკითხავენ: გრიგოლ რობაქიძე—„ზე კაცი და მარადი მობრუნება“. პავლე ინგოროყვა—„მეოთხე მოხსენება რუსთაველზე“ (რუსთაველის გეოგრაფია), ტიციან ტაბიძე—„ივანე მაჩაბელი“; გიორგი ლეონიძე—„საბა სულხან-ორბელიანი“; პაოლო იაშვილი—„ვაჟა ფშაველას პროზა“; ვალერიან გაფრინდაშვილი—„საქართველო და დენდიზმი“; შალვა აფხაიძე—„ქართველი პოეტი ქალები“.

— **პოეზიის აკადემია.** ახალ მწერალთა კავშირთან არსებულ პოეზიის აკადემიაში პავლე ინგოროყვა წაიკითხავს მთელ რიგ ლექციებისას შემდეგ თემაზე: „ძველი ქართული საერო ლიტერატურა კლასიკურ ეპოქაში“.

— დღეს, ოთხშაბათს, 29 ნოემბერს ალ. ივ. სუმბათაშვილი-იუჟინის საპატივსაცემლოთ აბესალომ და ეთერი. ბილეთები იყიდება.

პროვინციაში

დ. ჩხარი.

ამხ. კოლია რობაქიძის და სარქის კორკოტოვის ხსოვნას.

იმ დროს, როდესაც ჩვენ ვემზადებოდით ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავის სადღესასწაულოთ სწორეთ ამ დროს, ამ წ 6 ნოემბრის დღის 2 საათზე, სწყდებიან ჩვენს რიგებს საუკეთესო მებრძოლი ამხანაგები: კოლია რობაქიძე და სარქის კორკოტოვი, რომლების გული განგმირულ იქნა, ბანდიტის ბინძური ხელით გასროლილ ტყვიისაგან. ძველი თავადი და ბანდიტ-ტერორისტი ბაჭუჭი იშხნელი, რომელიც ვერ შეურიგდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობას, შეუხტა აღმასკომში—ამხ. კოლია რობაქიძეს, აღმასკომის თავმჯდომარეს, და ვინტოვკიდან გასროლილი ტყვიით გამოასალმა ის წუთისოფელს.

მოკლეს ამხ. კოლია იმ დროს, როდესაც ის გაცხარებული მუშაობდა და მკვდარს ხელში შერჩა კალმისტარი.

სროლის ხმაზე, იქვე კომკავშირის ბინიდან გამოვარდა ამხ. სარქის კორკოტოვი, რომელსაც სურდა გაეგო, თუ რაში იყო საქმე. ბანდიტმა მასაც დანახვის თანავე, ისიც დასჭრა სასიკვდილოთ. მან იცოცხლა მხოლოთ 2 საათი.

ამხ კოლიას სიტყვაც აღარ დასცალდა, მხოლოთ ამხ. სარქისის უკანასკნელი სიტყვა იყო: „მე კომუნისტი ვიყავი, გამასვენეთ ჩემმა ამხანაგებმა ინტერნაციონალის სიმღერით, ჩემს ცოლშვილს და მშობლებს ყური უგდეთო“.

ვინ იყვნენ ამხ. კოლია და სარქისი? ჩხარის ორგანიზაციის საუკეთესო წევრები; პირველი ამხ-გი 1920 წლიდან კომპარტიის წევრი, მხოლოთ მეორე—1918 წლიდან. ორივე ამხ-გები იყვნენ უღარიბესი გლეხების შვილები და მუშათა კლასის ინტერესების დამცველნი.

ამხ. კოლია და სარქის! თქვენი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ჩვენ თქვენს ამხანაგებში, და ფიცსა ვსდებთ, რომ არ დაუშვებთ ძირს იმ წითელ დროშას, რომელსაც თქვენ ატარებდით და მსხვერპლათ შეეწირეთ.

არ დაგივიწყებენ თქვენ ჩხარის რაიონის მშრომელები, რომლებიც თქვენ გიცნობდნენ, როგორც პატიოსან მებრძოლებს.

თქვენი ამხანაგები.

ღვინის ტრესტი

(წერილი რედაქციის მიმართ).

გაზეთ „კომუნისტი“-ს 270 ნომერში მოთავსებულია წერილი გომის სპირტის ქარხნის ყოფილ ერთ ერთ მეპატრონის ლევ მეტრეველისა, რომელიც ამტყუნებს ტრესტის გამგეობას და იცავს ქარხნის გამგეს ივ. ზოდელავას, რომელიც გამგეობამ სამსახურიდან დაითხოვა.

რადგან ამ წერილში მოყვანილი ცნობები სიმართლეს სრულებით არ შეეფერება, ტრესტის გამგეობა გთხოვთ დაბეჭდოთ შემდეგი ჩვენი განმარტება.

მეტრეველი ამტკიცებს, რომ „15 წლით გაუქმებული გომის ქარხანა ზოდელავამ თავისი მუყაითობით და საქმის ცოდნით უდიდეს შემოსავლიან წყაროდ გადააქცია, მან მოაგვარა ისეთი საქმე მოქ. თაქთაქიშვილთან, რომელიც ქარხნას ნაღდ მოგებას უტოვებდა მილიარდ ნახევარს“ და გამგეობამ მადლობის მაგივრად ის დაითხოვაო.

მართლაც გომის სპირტის ქარხანა 1921 წელს მენშევიკების გაქცევის დროს დანგრეული და განადგურებული იქნა, რადგანაც იმ რაიონში იყო სამხედრო მოქმედება, გაფუჭდა და დაიკარგა მანქანების ბევრი ნაწილები და დიდი ხნით შეწყდა ქარხნის მოქმედება. 1921 წლის დასასრულს და 22 წლის დასაწყისს, უმაღ. სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმმა გადასდო ქარხნის აღსადგენად საჭირო თანხა, იშოვა შესაფერი მანქანები და შეუდგა ქარხნის აღდგენას.

როდესაც 1922 წლის მაისში დაარსდა ტრესტი, გამგეობამ განაგრძო ქარხნის აღდგენაზედ მუშაობა, არ დაერიდა ხარჯებს და ივლისში უკვე გაუშვა ქარხანა და შეუდგა სპირტის გამოხდას.

ამ დროს ივ. ზოდელავა, რომელიც წინეთ მსახურობდა უმაღ. სამ. საბჭოს ქიმიურ განყოფილებაში სპეციალისტად, იმყოფებოდა მეტეხის ციხეში, სადაც დაჰყო ოთხი თვე, ქარხანასთან არ ჰქონია არავითარი კავშირი და მეტრეველის განცხადება, რომ ზოდელავამ აღადგინა ქარხანა, რა თქმა უნდა, სრული სიყალბეა.

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, როდესაც ქარხანა უკვე ამუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

მთლიანი მუშათა სამხედრო კოოპერატივის ხე-ტყის ქარხანა

ქარხანაში მუშა მოსამსახურეთა რიცხვი არის 21. მუშები კატეგორიულად არის დაყოფილი. ზოგი თვიურად მუშაობენ და ზოგი დღიურათ. დღიურათ მომუშავეთა მატერიალური მდგომარეობა ცუდია. პირველ აგვისტოდან დაიწყო ქარხანამ მუშაობა და ამ ხნის განმავლობაში წარმოებას თანდათან წარმატება ეტყობა. კულტურულ განმანათლებელი მუშაობა ძლიერ მოიკოჭლებს. კოლექტიურ ხელშეკრულებაში განსაკუთრებული მუხლიც კია შეტანილი ამის შესახებ, მაგრამ კოოპერატივის გამგეობას კულტურული მუშაობის სათანადო დონეზე დასაყენებლათ ნაკლებათ უზრუნვია. მუშები ამ საქმისათვის ყოველ თვიურად ორ პროც. იხდიან თავიანთ ჯამაგირიდან, მაგრამ არავინ იცის თუ რას ხმარდება ეს თანხა. გონებრივათ მუშები ძლიერ ჩამორჩენილნი არიან. მუშების დიდი უმეტესობა ცხოვრობს კერძო ბინებში, იმ დროს, როდესაც ხის დამამუშავებელთა კავშირის ბინაზე კერძო მოქალაქენი ცხოვრობენ, ამ კავშირის მუშებს სარდაფებში უხდებათ ცხოვრება.

ს. ქ.

სამექანიკო ქარხანა

ქარხანა იმყოფება უმაღლეს სამეურნეო საბჭოს განკარგულებაში. ამ ქარხანაში ეწევიან სასოფლო-სამეურნეო იარაღების კეთებას. ქარხანა ტეხნიკურად ძლიერ ცუდ პირობებში იმყოფება. მის ყოფილ მეპატრონეს—ხოშტარიას ჯიბეების გასქელებაზე უფრო მეტი უზრუნვია, ვიდრე ქარხნის ტეხნიკის გასაუმჯობესებლათ. ამ ჟამათ ქარხანა ისეთ ცუდ პირობებში იმყოფებოდა, რომ აუცილებელი შეიქნა მისი სხვა ადგილას გადატანა. განზრახულია მესამე ავტო-სახელოსნოში მოთავსება. წარმოება არ არის მაინცდამაინც დიდათ გაცხოველებული. პირველ იანვრიდან პირველ ნოემბრამდის ექვსასი მილიონი მანეთი გადაატრიალა ამ ქარხანამ, შენაკვეთების შესრულებით. ქარხანაში ფიზიკურათ მომუშავე არის 16. მატერიალურათ მათ მდგომარეობას არა უშავს რა. ზოგიერთი მუშა განსაკუთრებულათ შავ მუშაობისათვის იღებენ ჯამაგირის გარდა 30—40 პროცენტს ზედმეტს. მუშების მდგომარეობას ცუდ პირობებში აყენებს ჯამაგირების თავის დროზე მიუღებლობა. მუშებს არა აქვთ სპეც ტანისამოსი. ყოველ დღე პირდებიან დარიგებას, მაგრამ ზამთარი უკვე დადგა და ტანისამოსი დღემდისაც ვერ მიიღეს.

ახალი.

ხე-ტყის ქარხანა № 3

ეს ქარხანა იმყოფება უმაღლეს სამეურნეო საბჭოს განკარგულებაში. ქარხანას განაგებს სატყეო კომიტეტი. მუშაობას ვეწევით 27 კაცი. ქარხნის ადმინისტრაციასთან დადებული გვაქვს კოლექტიური ხელშეკრულება. მაგრამ, სამწუხაროდ, ხელშეკრულება ადმინისტრაციისაგან სათანადოთ ვერ ტარდება ცხოვრებაში. ასეთი გარემოება უნდა მიეწეროს ადმინისტრაციის დაუდევრობას. ხელშეკრულების ძალით ჩვენთვის უნდა დაერიგებინათ ხელთათმანები, მაგრამ არ იქნა და არა, ვერ ვღირსეთ. არსებობს ქარხნის კომიტეტი, რომელიც ფხიზლათ ადევნებს თვალ-ყურს შრომის დაცვის კანონების ცხოვრებაში გატარებას. კულტურული მუშაობა დღემდის მოიკოჭლებდა, მაგრამ ამ ჟამად ამ მხრივ საქმე გამოსწორდა და კულტურული მუშაობა ძლიერ გაცხოველდა. ხშირ ხშირათ იმართება კრებები და მოხსენებები. გვაქვს სამკითხველო, სადაც მოდის ყოველნაირი გაზეთები. ამ მოკლე ხანში განზრახვა გვაქვს წერა კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო შკოლის დაარსებისა. საქმე ვერ არის კარგათ დაყენებული საექიმო დახმარების მხრივ.

მუშა.

კაპელდინერები და შვეიცრები

წინეთ ჩვენ თვიურ ჯამაგირს ვღებულობდით და ავათ იყო თუ კარგათ თავი გაგვქონდა. ახლა ასეთი ჯამაგირი მოგვისპეს, დაგვრჩით თეატრში მოსიარულე ხალხის წყალობის მიმღები. ამგვარათ, ეგრეთ წოდებული „ნაჩაი“ შრომის ხელფასის ეს უღირსი და მშრომელის დამამცირებელი ფორმა ისევ შემოვიდა ხმარებაში ჩვენს მიმართ. ჯიბაში მივჩერებივართ თეატრში მოსიარულეს, აბა რას მოიღებს მოწყალებას და მოგვცემს. მთავარ თეატრებში ასეთი მოწყალება კიდევ რაღაცას შეადგენს, მაგრამ განაპირათ და სინემატოგრაფებში კი პირდაპირ შეუძლებელია მისით თავის გატანა. ნუ თუ უკეთესი არ იქნებოდა ჩვენი შრომის ხელფასი ბილეთში შესულიყო და ჩვენც დამცირებისა და შემთხვევისაგან გავენთავისუფლებით.

შვეიცარი.

სამხედრო საზღვაო კომისარიატის სტამბა

სტამბაში რამდენიმეთ სიბნელეა. ნამეტურ ღრუბლიან დღეს და ეს მუშაობაში ძალიან გვიშლის ხელს. შრომის დაცვის განყოფილებამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია და ხანგრძლივ შეპირების შემდეგ ასოთამწყობთა სამუშაო დარბაზში დღით ელექტრონი მოაწყვეს, მაგრამ სამანქანო განყოფილება კი ისევ ბნელაში დარჩა, საჭიროა აქაც განათება.

ამასწინათ კრება გვქონდა. მოხსენება გააკეთა ამხ. ნიკიტინმა. მოხსენება შეეხებოდა ქუჩის ბავშვების დახმარებას. დაადგინეს გაიღონ თავას წვლილი როგორც ქუჩის ბავშვების, ისე წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ. ასე ეხმარება მუშათა კლასი ყველა გაჭირვებულსა და უწეო მდგომარეობაში მყოფს.

მბეჭდავი.

ბავშვებზე ზრუნვა

ამ რამოდენიმე ხნის წინათ თუთუნის ქარხნის მუშის ამხ. ამირჯანოვის თაოსნობით ავლაბარში გემოკვების კავშირმა გახსნა ბავშვთა ბაღი.

ამ ბაღში მიიღებიან მხოლოდ და მხოლოდ მუშათა ბავშვები. ბაღს დაერქვა 26 კომუნარის სახელი. ამ ბაღის გახსნას მუშები დიდი სიხარულითა და ალტაცებით შეხვდნენ. აქეთ არის სხვა ბაღებიც, მაგრამ ის მუშების ჯიბეებისათვის მიუწვდომელია. ბავშვებს კარგათ კვებავენ და გონიერ გასართობსაც უმართავენ. დილის 9 საათიდან გროვდებიან ბავშვები. სასურველია სხვა კავშირებიც მიბაძავდეს გამოკვების კავშირის მაგალითს.

მშრომელი.

ხაშური

ხაშურში შრომის დაცვის კანონები ვერ არის სათანადოთ დაცული. ნამეტურ არაა სამუშაო დღე მოწესრიგებული სავაჭროებში. აქ არავითარი განსაზღვრული სამუშაო დრო არ არსებობს და ნოქრებს ყოველგვარ შრომის კანონების დარღვევით მიღებულთ ამუშავებენ ხაზეინები თავის ნებაზე—დილა ადრიანიდან გვიან ღამემდი. ასეთებს ყურადღებას არ აქცევენ და ასეთის გაგონებაც კი არ უნდათ. სასურველია კავშირი და მისი შრომის დაცვის ორგანოები ამ მხრივ ჩვენს გაჭირვებას სათანადო ყურადღებას მიაქცევდნენ და დაწერილს მშვენიერ კანონებს ცხოვრებაშიაც გაგვიხორციელებდნენ.

ნოქარი.

ვეული იყო, ზოდელავამ წარმოადგინა უმაღ. სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმისაგან ქაღალდი, რომ ს. საგანგებო კომისია წინააღმდეგი არ არის მიღებულ იქნას ის სამსახურში.

10 აგვისტოს გამგეობამ დანიშნა ის, როგორც სპეციალისტი გორის ქარხნის გამგეთ, ხოლო 13 ნოემბერს გადააყენა ის სამსახურიდან.

მიზეზი გადაყენებისა იყო შემდეგი: გორის რაიონში შედგა ერთი ჯგუფი მოქ. თაქთაქიშვილის მეთაურობით, რომელმაც განიზრახა ეძლია ქარხნისთვის სიმინდი და სამაგიეროთ მიეღო ქარხნიდან ნაწილი გამოხდილი სპირტისა.

თაქთაქიშვილის ჯგუფი ზოდელავასთან ერთად იყვნენ ამ წინადადებით უმაღ. სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმში და აგრეთვე თვით ტრესტის გამგეობაშიც.

ამ ნაირივე წინადადება ჰქონდა გამგეობას უფრო ადრე სამი სხვა და სხვა პირისაგან (შავგანიძე, სარაჯევი და ამხ. ელექტრონიტი), მაგრამ გამგეობამ ყველას უარი უთხრა, რადგან ეს კომბინაცია იქნებოდა დიდათ საზარალო, ვინაიდან ოქტომბერში სიმინდის ფასი იყო 100,000 მან. ფუთი და გამოხდილი სპირტის მიცემის კვალობაზედ სიმინდი ჯდებოდა 400—500 ათასი მანეთამდე ფუთი.

მთხოვნელები თანხმდებოდენ მიგვეცა გამოხდილი სპირტის მესამედი ნაწილი, რაც დაუტოვებდა მათ მაინც დიდ მოგებას.

მოქ. თაქთაქიშვილის ჯგუფი თხოულობდა მიგვეცა გამოხდილის სპირტის ნახევარი და გვპირდებოდა სიმინდს და სათბობ მასალას, ესე იგი ფაქტიურად უნდა გამხდარიყო ქარხნის წარმოების მონახევრე.

გამგეობამ კატეგორიულად უარყო მათი წინადადება, როგორც საზარალო ტრესტისათვის. და ეს ამბავი კარგად იცოდა ქარხნის გამგე ზოდელავამ.

მიუხედავათ ამისა, თაქთაქიშვილმა და ზოდელავამ გამგეობის დადგენილების წინააღმდეგ მაინც შეკრეს გორში ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც თაქთაქიშვილს უნდა მოეტანა ქარხანაში 3,000 ფ. სიმინდი, მის გამოსახდელად საჭირო სათბობი მასალა და მიეღო გამოხდილი სპირტის ნახევარი ნაწილი.

გამგეობას მოუვიდა ცნობა კლიენტებისაგან, რომ ტრესტის სპირტი გორში იყიდება ვიდრო 400,000 მან. უფრო იაფად, ვიდრე ყიდდა თვით ტრესტი, და რომ ფირმა „ორიოლმა“, რომელსაც ჰქონდა მოლაპარაკება გამგეობასთან სპირტის ყიდვის შესახებ, იყიდა სპირტი თაქთაქიშვილთან და შეიტანა მასთან 500 მილიონამდე.

გამგეობამ დანიშნა სასწრაფოთ გორის ქარხნის რევიზია, რომელმაც აღმოაჩინა მართლაც ხელშეკრულება თაქთაქიშვილთან და აგრეთვე ფირმა „ორიოლთან“, რომელსაც თაქთაქიშვილმა მიჰყიდა უკვე ჯერ კიდევ წაუღებელი სპირტი.

ორივე მხარემ, თაქთაქიშვილმა და ზოდელავამ კარგად იცოდენ, რომ ასეთი ხელშეკრულების დადება ნება დართული არ არის, აგრეთვე ზოდელავამ იცოდა, რომ ასეთ ხელშეკრულებას ძალა არა აქვს, რადგანაც ის არ დაუმტკიცებია გამგეობას, და აგრეთვე არ დაუმტკიცებია გამგეობის გარდა ც. ს. ს. ცენტ. საბჭოს მმართველობას, რაც სავალდებულოა ყველა პირობებისათვის, რომელსაც თვით გამგეობაც კი სდებს სხვა პირებთან, თუ დაწესებულებებთან. ეს პირობა მილიარდზედ მეტ მოგებას აძლევდა თაქთაქიშვილს და დიდ ზარალს ტრესტს, რადგან სიმინდი უჯდებოდა ოთხჯერ უფრო ძვირათ და ამასთან ერთათ მას უჩნდებოდა ბაზარზედ კონკურენცია, რომელმაც შეაფერხა სპირტის გაყიდვა დაწესებულ ფასებში.

გამგეობამ შეაჩერა ხელშეკრულების სისრულეში მოყვანა და ზოდელავა ამ საქციელისათვის გადააყენა თანამდებობიდან.

თვით რედაქციამ განსაჯოს, ვინ არის აქ მართალი, გამგეობა, თუ ზოდელავას დამცველი მეტრეველი?

ამ ნაირსავე ყალბ ცნობებზედ არის დამყარებული, თითქოს გამგეობამ არ მისცა საშუალება გორის კოოპერატივს სიმინდი ჩაებარებინა, ხოლო კერძო კაცს კი შეუკვეთა ის.

ცენ. საბჭ. სამმართველოს დასტურით გამგეობა შეეკრა პირობით 11 სექტემბერს სოკოლოვს, რომ ჩაებარებინა ერთი თვის განმავლობაში თვით ქარხანაში 5,000 ფუთი სიმინდი. რადგანაც სიმინდი იმ ხანში ჯერ შემოსული არ იყო, ძნელად იშოვებოდა და ფასიც დიდი ჰქონდა, ც. საბჭ სამმართველოსთან შეთანხმებით სიმინდის ფასი გადაწყდა ქარხანაში მიტანით 130,000 მან. რადგანაც საძნელო აღმოჩნდა ადგილობრივად სიმინდის შოვნა და კახეთიდან მოტანილი სიმინდი გაცილებით უფრო ძვირი ჯდებოდა, სოკოლოვმა პირობის შესრულება ვერ მოახერხა ვადაში, რაც ნათლად მოწმობს შესრულების სიძნელეს. ვადის შემდეგ მან ჩააბარა ქარხანას დანარჩენი 900 ფუთი, რაც გამგეობამ უანგარიშა 100,000 მანეთად თითო ფუთი. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ფულის კრიზისის გამო გამგეობამ მას ვადაში ფული ვერ ჩააბარა და ჯერეც ვერ გაუსწორდა.

როდესაც გორის კოოპერატივთა კავშირმა განცხადება შემოიტანა სიმინდის მოწოდების შესახებ, გამგეობამ მაშინვე დააკმაყოფილა მისი თხოვნა და მისწერა წერილი, რომ, თანახმად მათი ფასისა, ჩაებარებინათ სიმინდი გორში ფუთი 105,000 მ., ათ ოქტომბრამდე, მაგრამ გორის კავშირმა სრულებით არ ჩააბარა სიმინდი ქარხანას.

რათ არ ჩააბარა სიმინდი გორის კავშირმა—ალბათ ეს უკეთ უწყის თვით მეტრეველმა, გორის კავშირის ყოფილმა მოღვაწეებმა აკი ჩააბარეს სიმინდი ზოდელავას, მაგრამ არა 105,000 მან. კვალობაზედ, არამედ სპირტის ანგარიშზედ, სადაც სიმინდში თითო ფუთზედ 400,000 მან. იღებდენ ჯიბეში.

ტრესტის გამგეობა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 58

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუშათა სახლებიდან იმ პირთა გამოსახლების შესახებ, რომელნიც პროფესიონალურ კავშირის წევრებად არ არიან.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გამოსახლება მუშათა სახლებიდან იმ პირებისა, რომელნიც პროფესიონალური კავშირის წევრებად არ არიან, მოხდება ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური განყოფილების დადგენილებით სათანადო კავშირის განცხადების თანახმად.

შენიშვნა: გამოსახლების შესახებ შეტანილ განცხადებაში კავშირმა უნდა აღნიშნოს გამოსასახლებელ პირის სოციალური მდგომარეობა, მისი ოჯახის წევრი რიცხვი, ოთახების რაოდენობა და სივრცე.

2. კავშირის განცხადება გამოსახლების შესახებ კომუნალურმა განყოფილებამ უნდა განიხილოს სამი დღის განმავლობაში განცხადების მიღებიდან.

3. გამოსასახლებელს ეძლევა ერთი თვის ვადა ახალი ბინის მოსაძებნად. ეს ვადა იწყება იმ დღიდან, როცა მას გადაეცემა კომუნალური განყოფილების უწყება გამოსახლების შესახებ.

4. მესამე მუხლში აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ის, ვინც ნებაყოფლობით არ დასცლის სადგომს, ადმინისტრატიული წესით უნდა იქნეს გამოსახლებული.

5. მუშათა სახლებში ჩასახლებულ კავშირის წევრთა მიერ განთავისუფლებული ბინები და ოთახები, სამის დღის წინ განთავისუფლებამდე, გადაეცემა საბინაო სექციას საღნუსხოდ და, ფაქტიური განთავისუფლების შემდეგ კი,—გამოსაყენებლად.

6. მუშათა სახლებში განთავისუფლებული ოთახები და ბინები უნდა დაიბეჭდოს საბინაო სექციის ბეჭდით და გადაეცეს სათანადო პროფესიონალური კავშირის განკარგულებაში.

7. კავშირი სამი დღის განმავლობაში მოვალეა გამოიყენოს გადაცემული სადგომი და ჩაასახლოს თავის წევრები საბინაო სექციის ორდერით.

8. უკეთუ კავშირი სამი დღის განმავლობაში არ გამოიყენებს განთავისუფლებულ ოთახებს, იგი გადადის საბინაო სექციის განკარგულებაში, რომელმაც უნდა გამოიყენოს ეს ოთახები და მხოლოდ პროფესიონალური კავშირის წევრები ჩაასახლოს.

9. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
მ. ორახელაშვილი.

სახალხო კომისართა საბჭ. მდივანი
ალ. ხალარიძე.

1922 წ. ნოემბრის 23.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 60

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სავაჭრო-სამრეწველო სადგომების ქირის გადასახადის გადიდების შესახებ.

ადგილობრივი გადასახადების შესახებ 1922 წლ. თებერვლის 5 თარიღით გამოცემული დებულების 64 მუხლის შესაცვლელად და შესავსებად საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მაზრებში ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების სასარგებლოდ სავაჭრო სამრეწველო სადგურების ქირაზე არსებული 2 პროცენტიანი გადასახადი გადიდებული იქნეს 5 პროცენტამდე.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
მ. ორახელაშვილი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ა. გეგეჭკორი.

სახალხო კომისართა საბჭ მდივანი
ალ. ხალარიძე.

1922 წ. ნოემბრის 25.
ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— 29 ნოემბერს ოთხშაბათს დღის 12 საათზე ს კ. პ. ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპ განყოფილების ბინაზე დანიშნულია „ქუჩის ბავშთა სახლის“ მომწყობ ცენტრალური კომისიის სხდომა

სხდომაზე მიწვეულია ყველა წევრები და შიმშილობის შედეგებთან მებრძოლის „ოკა“ ს წარმომადგენელნი.

— 2-ე რაიკომი აცნობებს ყველა ქვემოდ დასახელებულ საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 2 ე რაიონის ამხ. წევრებს და კანდიდატებს—ვართანოვ მარიამს, ბომრიშევი ივანეს, იბრაგიმოვი ნადირის, შარაბოვ ალექსანდრეს, ეჯოშვილი ალექსანდრეს, კრავეიშვილი ივანეს, მელიქიან ასცხიკის საყურადღებოთ, რომ 29 ნოემბერს დღის 12 საათზე რაიკომის ბინაზე დაიწყება ერთეულების გაწმენდა. ყველა დასახელებული ამხანაგები, რომელნიც უნდა გატარდენ გაწმენდაში, როგორც ერთეულები, ვალდებულნი არიან აღნიშნულ ვადაზე გამოცხადდენ რაიკომში. ის პირნი, რომელნიც არ გამოცხადდებიან, პარტიიდან მექანიკურად გაირიცხებიან.

კომისიის მდივანი **ნაზაროვი.**

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე 3 რაიკომი ამით აუწყებს, რომ ოთხშაბათს, 29 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე რაიონულ კომიტეტის ბინაზე გაიმართება მესამე რაიკომის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება.

1. რაიკომის შინაგანი აპარატის რეორგანიზაცია და მომავალი მუშაობის გეგმა.
2. მიმდინარე საკითხები.

მდივანი **გარტაპეტიანი.**

— ოთხშაბათს, 29 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის აგიტპროპის შენობაში შესდგება წრეების და სკოლების პასუხისმგებელ ხელმძღვანელების სხდომის გაგრძელება. დღის წესრიგშია ხელმძღვანელების ანგარიშები (წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობით) და მომავალი მუშაობის გეგმის განხილვა. ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: მისკინი, გეგეშიძე, ანთაძე, აპენიანსკი, როხლინი, მჟავანაძე, ვაშაკიძე, პენიაკოვა, ე. ზახარიანი, ჯავჩიანი, მარიბჯანოვი ბექანოვი, მედვედიევი, ჯაფარიძე საშა, ვოლ, კვიუკაძე, სუროვენკოვი, სამოილოვი, ვარდანიანი, ფლორა, შამშინოვი, არუსტამოვი, ტაკოევი, მალკინი, არუტიუნოვი, კოსტანიანი, მეკინი, ფრანგულიანი და ელისაბედაშვილი.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე: **მ. ცხენი.**

განცხადებები

რუსთაველის თეატრი

ხუთშაბათს, 30 ნოემბერს

ალ. შანშიაშვილის

„უგვირგვინო მეფენი“

დადგმა ა. ფალავასი.
დასაწყისი სრულ 8 საათზე.
(კრ. 650—2—1)

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 29 ნოემბერს

საქართველოს აკადემიური ოპერის საზეიმო სპექტაკლი დამსახურებულ სახალხო მსახიობის

ალ. ივ. სუმბათაშვილი-იუჟინის საპატივცემლოთ

აბესალომ და ეთერი

ბილეთები იყიდება. კრ. 652—1—1

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

ხუთშაბათს, 30 ნოემბერს

პიკის ქალი

დასაწყისი სრულ 8 საათზე
მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.
(კრ. 650—2—1)

საქართველოს სახალხო მეურნეობის
უმაღლეს საბჭოს
სათბობი მასალის განყოფილება

აცნობებს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს (როგორც რიგის მიხედვით, ისე რიგ გარეშე მომხმარებლებს) საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომ ყველა სახის სათბობ მასალის და ნავთის პროდუქტის გაცემა განყოფილების საწყობიდან ხდება მხოლოდ ნდობის ბარათით სათბობი მასალის მიღების უფლებაზე, ან იმ პირთათვის, რომელთა სახელზე გამოწერილია ორდერი, ამიტომ ყველამ ვინც წარადგენს განყოფილებაში მოთხოვნილებას სათბობი მასალის მიღების შესახებ, ან უნდა მისცენ თავიანთ წარმომადგენლებს ნდობის ბარათი მიღებისათვის, ან და მოთხოვნილებაში აღნიშნონ მიმღების გვარი.

სათბობი მასალის განყოფილების გამგე: ბორკონ.
საქმეთა მმართველი: მიროტაძე.
581—2—2

ამხანაგობა
„ხორც-პროდუქტი“
აცნობებს ყველას, რომ ამხანაგობის მთავარი კანტორა და გამგეობა
გადავიდა სასახლის ქუჩ. № 6 მესამე სართ. ტელ. № 9—84. სადაც უნდა მიმართონ ამხანაგობის საქმეებისათვის.
გამგეობა.
კრ. 644—3—2

ვერის ხიდზე
მისი შეკეთების გამო
ეტლების, ავტომობილების და სხვ. ყოველგვარი მოძრაობა აკრძალულია.
(653—3—1) ტეხნიკურ აღმშენებლობის გამგე ინჟ. დეხანოვი.

ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს მათემატიკაში და
ვამზადებ პირობით მოზრდილთ
საერთო განათ. კურსებზე, ტეხნიკუმში 1, 2, 3 კლასში შესასვლელად, ბავშვებს შრომის სკოლის 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 ჯგუფ და მოწმობაზე. პლეხანოვის ქ. 25, შესავალი (ალექსის ქუჩიდან). 571—4—4

საკონსულტაციო
სამკურნალო კაბინეტი ბავშვთა ექიმების:
მედიცინის დოქტორის
ვ. ვ. შენგელიძის და ექიმი ქალის გ. დ. ხანცინის
ბავშვების მიღება ყოველ-დღე (გარდა კვირისა) 1—3 საათამდე დღ. ძუძუმწოვარ ბავშვების კონსულტაცია ოთხშაბათობით და შაბათობით დღის 1—3 საათამდე. ყოველგვარი გამოკვლევანი. კრუზენშტეინის ქ. № 1, გოლოვინსკის კუთხე. ტელეფ. № 18—14. (517—25—15)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
თბილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.
304—25—10)

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული მე 12 რაიონის მილიციის სამმართველოდან იოსებ გ. ნარიმანიშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.
(586—1—1)

დაიკარგა შრომის ბირჟის ბილეთი მოცემული ქ. ტფილისის შრომის ბირჟიდან, ა. წ. მარიამ ბ—ას ხატიაშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. (587—1—1)

დაიკარგა სარეგისტრაციო ქაღალდი № 23 რომელიც მქონდა კუხის თემიდან მოცემული ნიკოლოზ შავლაყაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (585—1—1)

დაიკარგა მანდატი პარტიული, გალაქტიონ ივანეს ძე მდივაძე გ. გთხოვთ ჩაითვალოს გაუქმებულათ.
(588—1—1)

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით № 1040 მოცემული თბილისის რკინის გზის გადამტვირთ-გადმომტვ. არტელ „კომუნის“ მიერ ვლადიმერ დანიელის ძე კეკელიძის სახელზე. გთხოვთ გაუქმებულად ჩასთვალოთ.
(584—1—1)

ტირაჟი 10,000 ნ. დ. ს. ფ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტეინის ქ. № 4.